

ღვთაების შესამოსელი

წინათქმა

1208 წელს მართლმადიდებელ საქართველოში მუსულმანთა ჯარი შეიჭრა, რომელსაც სპარსეთის ქალაქ არდებილის სულთანი მეთაურობდა. მუსულმანები პასექის დღესასწაულზე გამთენიისას მოულოდნელად დაესხნენ თავს ქალაქ ანს, გაძარცვეს იგი და თორმეტი ათასი ქრისტიანი სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს ამბავი რომ გაიგო, საქართველოს მეფემ, თამარმა, თავის სახელოვან მთავარსადალ ზაქარია მხარგრძელს უბრძანა, შური ეძია მტერზე. ზაქარია მუსულმანთა მარხვას დაელოდა და ჯართან ერთად სპარსეთისაკენ დაიძრა. მთვარის სისავსის ღამეს მისი რაზმები ქალაქ არდებილის მახლობლად განლაგდნენ. გარიჟრაჟზე, როცა მოსახლეობა ის-ის იყო იღვიძებდა, ხოლო მოღები მინარეთებიდან ხალხს მარხვის დამთავრებას აუწყებდნენ, ქართველებმა ქალაქი აიღეს. ზაქარია მხარგრძელის ბრძანებით არდებილი საფუძვლამდე დაანგრიეს, მისი თორმეტი ათასი მკვიდრი კი ამოხოცეს. სასჯელი ეწია არდებილის დატყვევებულ სულთანსაც. ამის შემდეგ მუსულმანებმა შეწყვიტეს საქართველოს დარბევა დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე.

თამარ მეფის ზეობისას საქართველომ თავისი ძლიევამოსილების მწვერვალს მიაღწია. თამარის მხედართმთავრებმა ქვეყანას სახელი გაუთქვეს თავიანთი არაერთი სახელოვანი ბრძოლითა და ლაშქრობით. მაგრამ თავად დედოფალი უცხო იყო ყოველგვარი მეომრული განწყობილებისაგან, პირიქით, ის ყოველთვის ცდილობდა, მეზობელ სახელმწიფოებთან წამოჭრილი კამათები მშვიდობიანი მოლაპარაკებებით შეეწყვიტა. მისი ჯარები მუდამ თავს იცავდნენ ხოლმე და შეტევაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადიოდნენ, როცა იძულებული ხდებოდნენ.

როგორც არაბული და სპარსული წყაროები მოწმობენ, თამარის მეფობისას მუსულმანები საქართველოში უფრო უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ, ვიდრე ბევრ სხვა ისლამურ სახელმწიფოში. კეთილმორწმუნე დედოფალმა სიკვდილით დასჯაც გააუქმა და ხალხის გაროზგვაც აკრძალა. იგი ყოველწლიურად გასცემდა ხაზინიდან გაჭირვებულთათვის სახელმწიფოს შემოსავლის მეათედს და ღამ-ღამობით ხშირად საკუთარი ხელით კერავდა შესამოსელს გლახაკთათვის. თამარი ყოველდღიურად ესწრებოდა წირვას სამეფო კარის ეკლესიაში. იგი თანამედროვეებს აკვირვებდა თავისი სიბრძნით, სიმდაბლითა და კეთილკრძალულებით. წმინდა ცხოვრებისათვის ეკლესიამ დედოფალი წმინდანად შერაცხა.

მაგრამ როგორ იყო შეთავსებული წმინდა მეფეში ქრისტიანული სიმდაბლე და მეფური სიმტკიცე? რატომ იძიებდნენ ხოლმე შურს მტერზე ქართული ჯარები მისი ბრძანებით? მუსულმანებმა ხომ იცოდნენ მაცხოვრის მცნება – რომ

ქრისტიანმა, როცა მას ერთ ლოყაში გაარტყამენ, მეორე უნდა მიუშვიროს, და, ამდენად, თავიანთი დამპყრობლური ქმედებების საპასუხოდ თითქოს საქართველოს მეფისაგან სულ სხვა დამოკიდებულებას ელოდნენ. ან იქნებ კეთილმსახურ თამარს სიმდაბლე არ გააჩნდა? რალა თქმა უნდა, წმინდა დედოფალი შემკული იყო ამ სათნოებით, მაგრამ ქრისტიანული სიმდაბლის შესახებ ყველა დროში ბევრს ჰქონია არასწორი წარმოდგენა. ქრისტეს მოწინააღმდეგენი სიმდაბლეზე ყოველთვის ისეთ აზრს ნერგავდნენ, თითქოს ესაა ქრისტიანული დოგმების სიმძიმით დათრგუნული მონური ბუნებისთვის დამახასიათებელი თვისება. მაგრამ ქართველი მეფის მაგალითი ჩვენ სრულიად საპირისპიროს გვასწავლის.

ამ წიგნიდან მკითხველი შეიტყობს, თუ რა არის სიმდაბლე, როგორ უნდა მოვიპოვოთ იგი; ასევე, დაინახავს, რომ ამ უდიდესი სათნოების მოხვეჭა მხოლოდ მტკიცე ნებისყოფისა და უშიშარი გულის მქონე ადამიანებს ხელეწიფებათ.

ნაწილი 1

სიმდაბლის მნიშვნელობა და არსი

სიმდაბლე სძლევს ეშმაკის ხრიკებს

ჩვენ ყველანი, დედამიწის მკვიდრნი, დიდ საფრთხეში ვიმყოფებით. რატომ? იმიტომ რომ, პეტრე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს ირგვლივ "ეშმაკი ვითარცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა" (1 პეტ. 5,8).

ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეძლებს თავისი სულის გადარჩენას, თუკი დაცემულ ანგელოზებს არ სძლევს. ბოროტმა ეშმაკებმა, თვითონ ქვესკნელში შთავრდომილებმა, მიზნად დაისახეს, რომ კაცობრიობაც წარწყმიდონ და ჯოჯოხეთის უფსკრულებში გამოამწყვდიონ. ისინი აცდუნებენ ადამიანს, ვნებების ბადეში ხლართავენ და ცოდვის ჩადენამდე მიჰყავთ იგი. ამ მიზნის მისაღწევად უწმინდური სულები მათთვის ხელმისაწვდომ ყველანაირ საშუალებას იყენებენ. მათ არ შეუძლიათ აიძულონ ადამიანები, ჩაიდინონ ცოდვა, და ამიტომ ცბიერებას მიმართავენ. ჩვენ კი რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ეშმაკის ხრიკებს? ეს საკითხი უხსოვარი დროიდან აღელვებდა ქრისტიან მოღვაწეებს.

ერთხელ ანტონი დიდმა სულიერი თვალით დაინახა დედამიწაზე განრთხმული ეშმაკის ყველა ბადე, ამოიოხრა და თქვა:

– ვაი კაცთა მოდგმას! ვის ძალუძს თავი დააღწიოს ამ მახეებს?

პასუხად ღირს მამას ზეგარდამო ხმა ესმა:

– მხოლოდ თავმდაბალი დააღწევს თავს, ისინი მას ვერც კი შეეხებიან.

სიმდაბლით ეშმაკის ყველანაირი მზაკვრობა იძლევა. რაც უფრო მეტად წარვემატებით, ღვთის შეწევნით, სიმდაბლეში, მით უფრო ნაკლებად გვემუქრება საფრთხე – მოგვატყუონ და დაგვლუპონ ცბიერმა დემონებმა.

ბოროტი ძალები უხილავად აზრებით გვებრძვიან, ხილულად კი იმ ადამიანების მეშვეობით დაგვესხმიან თავს, რომელთაგანაც ჩვენ უსამართლო შეურაცხყოფასა და დევნა-შევიწროებას ვითმენთ. თუკი ეშმაკები მოახერხებენ მთლიანად დაეუფლონ ვინმეს, მაშინ ისინი ასეთ ადამიანს ჩვენს წინააღმდეგ კიდევ უფრო უხეში თავდასხმებისთვის იყენებენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა აღწერილია პატერიკში.

ერთხელ ერთ განდევილთან ეშმაკეული მივიდა. საცოდავს პირიდან მუდამ ქაფი სდიოდა და საშინელი სანახავი იყო. ბერი რომ დაინახა, მაშინვე სილა გაანწა, განდევილმა კი მეორე ლოყა მიუშვირა. ეშმაკმა ვერ გაუძლო ბერის სიმდაბლეს და მყისვე დატოვა ეშმაკეული.

როცა დემონი თავს გვესხმის სხვა ადამიანების მეშვეობით, იგი ცდილობს გულში მათ მიმართ მრისხანება და მტრობა აღგვიძრას. ასეთი თავდასხმების დროს აუცილებელია გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიყვარული იმ ადამიანისადმი, ვინც ცუდად გვექცევა, და მის წინაშე თავის დამდაბლებით ვსძლიოთ ეშმაკს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს პირად ცხოვრებას ეხება. ბოროტება, რომელიც შეგნებულად ცდილობს გაანადგუროს საზოგადოებრივი საფუძვლები, ალგავოს პირისაგან მიწისა მთელი ერები, ან დალუპოს თუნდაც ერთი ადამიანი, – უნდა აღიკვეთოს ყველაზე მკვეთრი საშუალებებით.

ეკლესიის ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც ეშმაკი პირისპირ ეცხადებოდა დიდ წმინდანებს და ცდილობდა მათზე გადმოენთხია მთელი თავისი ღვარძლი. ასე მაგალითად, ერთხელ მაკარი მეგვიპტელს კალათების დასაწნავად სენაკში ფინიკის რტოები მიჰქონდა. მოულოდნელად ეშმაკი შემოხვდა, რომელმაც ნამგალი მოუქნია, მაგრამ დარტყმა ვერ შეძლო.

– მაკარი! – მიმართა მან წმინდანს. – შენ გამო დიდ მწუხარებაში ვარ, რადგან ვერაფრით ვერ დაგამარცხე. აი, მეც იმასვე ვაკეთებ, რასაც შენ: შენ მარხულობ – მე საერთოდ არაფერს ვჭამ; შენ მღვიძარებ – მე კი არასოდეს ვიძინებ, მაგრამ არის ერთი რამ, რითაც მჯობნი.

– რა არის ეს ერთი რამ? – ჰკითხა მაკარიმ.

– შენი სიმდაბლე! – მიუგო ეშმაკმა. – აი რატომ არ შემიძლია შენთან შებმაც კი.

იმისთვის, რომ ადამიანები აცდუნოს, ეშმაკი იესო ქრისტეს, ანგელოზებისა და წმინდანების სახეებს ღებულობს. ასეთი გამოცხადებებით იგი ცდილობს მოხიბლოს ადამიანი. ერთხელ იგი ერთ ძველ ეგვიპტელ მოღვაწეს ანგელოზის სახით გამოეცხადა და უნდოდა მასში პატივმოყვარეობა აღეძრა.

– მე, მთავარანგელოზი გაბრიელი, შენთან მოვივლინე! – უთხრა მან წმინდა მამას.

– სხვა ვინმესთან ხომ არ ხარ გამოგზავნილი? მე რა ღირსი ვარ, რომ ანგელოზები გამომეცხადონ. – მდაბლად და უზაკველად მიუგო ბერმა.

როგორც კი ეს სიტყვები გაიგონა, ეშმაკი უმალ გაუჩინარდა.

როცა ყოვლად კადნიერი და ამაყი დემონები თავმდაბალ ადამიანს მიეახლებიან, მთელ თავიანთ უკეთურ ძალას კარგავენ და მათი ხრიკები არარად იქცევა. ეგვიპტელი ბერი, აბბა მოსე, ამბობდა, რომ ვისაც თავმდაბლობა აქვს, ის ეშმაკებს იმორჩილებს, ხოლო ვისაც არა აქვს, მას დასცინიან ეშმაკები.

თავმდაბლობა – ყველა სათნოების საფუძველი

საეკლესიო გადმოცემამ არაერთი ამბავი შემოგვინახა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმდაბლეს სულიერი ცხოვრებისათვის. აი, ერთ-ერთი მათგანი.

შორეულ წარსულში ერთი ქრისტიანი ქალი უდაბურ კუნძულზე მოხვდა. მან იქ 40 წელი გაატარა მარხვასა და ლოცვაში, ითმენდა სხვადასხვა გაჭირვებას. ბოლოს კუნძულს გემი მიადგა და მოღვაწე მატერიკზე დაბრუნდა. იგი ერთ დიდ ბერთან მივიდა და თავისი ასკეტური ღვაწლის შესახებ უამბო. ბერმა ყურადღებით მოუსმინა და ჰკითხა:

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ის თუ შეგიძლია, რომ კაცთაგან შეურაცხყოფა ისე მიიღო, როგორც კეთილსურნელება?

– არა, მამაო, – მიუგო შეცბუნებულმა ქალმა.

– მაშ ვერაფერიც ვერ შეგიძენია ამ შენი 40 წლის მოღვაწეობის შედეგად, – უნუგემო დასკვნა გამოიტანა ბერმა.

ამგვარად, უნებლიე განდევილმა მრავალი წელი გაატარა ადამიანების გარეშე, მაგრამ ყველაზე მთავარი – თავმდაბლობა – მაინც ვერ მოიპოვა, თავმდაბლობა, რომლის გარეშეც ყველა სათნოება უფერულდება.

აბბა დოროთე სულის ცხოვრების საქმეს სახლის შენებას ადარებს. იგი წერს, რომ მშენებელმა თითოეულ ქვას კირის დუღაბი უნდა დაადოს, რადგან დუღაბის გარეშე ქვები ჩამოცვივდება და შენობა დაინგრევა. ქრისტიანის სულიერი სახლისთვის ქვები – ეს სათნოებებია, ხოლო კირი – თავმდაბლობა. მის გარეშე აღსრულებულ არც ერთ საქმეს კაცისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს. ამიტომაც თქვა ბრძენმა ეგვიპტელმა მოღვაწემ – ნეტარმა სვინკლიტიკიამ, რომ რამდენადაც შეუძლებელია ხის გემის აგება ლურსმნების გარეშე, იმდენადვეა შეუძლებელი ცხოვრება სიმდაბლის გარეშე. ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ხის ფიცრები სათნოებებია, ლურსმნები კი – თავმდაბლური აზრი მათ შესახებ.

ერთხელ ოპტინელ მოძღვარ ანატოლისთან (ზერცალოვი) ერთი ქალი მივიდა. მას განმარტოებით ცხოვრება სურდა, რათა დაუბრკოლებლად ემარხულა, ელოცა და შიშველ ფიცრებზე დაეძინა, და მამა ანატოლისგან კურთხევას ითხოვდა. მოძღვარმა უთხრა:

– იცი, რომ ეშმაკი არც ჭამს, არც სვამს და არც იძინებს, მაგრამ მაინც ქვესკნელში ცხოვრობს, იმიტომ, რომ სიმდაბლე არ გააჩნია? ყველაფერში ღვთის ნებას დაემორჩილე – აი შენ ღვანლიც! დამდაბლდი ყველას წინაშე, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე, მადლობით მიიღე სწეულებები და მწუხარებები – ეს ყოველგვარ ღვანლზე მეტია!

თავის სხვა სულიერ შვილს, რომელსაც სურდა სახარება და "ფსალმუნნი" შეეძინა, ღირსმა ანატოლიმ უთხრა:

– ყიდვით კი იყიდე, მაგრამ მთავარია დაუზარლად შეასრულო მორჩილება, თავი დაიმდაბლო და ყველაფერი მოითმინო. ეს მარხვასა და ლოცვაზე მეტი იქნება.

ქრისტიანის სულიერი წარმატებისთვის სიმდაბლეს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი იცავს სულს სიამაყისგან. რა სათნოებებიც არ უნდა მოიპოვოს ადამიანი და რამდენადაც არ უნდა მიეახლოს ღმერთს, სიმდაბლე მას არა თუ საკუთარ სინმინდეს არ დაანახებს, პირიქით, უფრო და უფრო მეტად გაულვივებს თავისი ცოდვების შეცნობის უნარს.

XIX საუკუნის ათონელმა მოღვაწემ, სქიმონაზონმა ნიკოდიმოსმა, ღვთისაგან ცრემლის დიდი ნიჭი მიიღო: მას შეეძლო ეტირა, რამდენიც უნდოდა. ეს რომ ნიკოდიმოსის მოძღვარმა შენიშნა, ჰკითხა:

– დიდი ხანია, რაც ეს ნიჭი გაქვს?

– ორნახევარი წელიწადია, – მიუგო სქიმონაზონმა, – იმის შემდეგ, რაც ამ სათნოებაზე საუბრისას მეტანია გაგიკეთე და კურთხევა გთხოვე, მეძებნა ღვთის ეს ნიჭი. მანამდე კი სამი წელი გაჭირვებით ვაიძულებდი თავს, რომ ყოველდღე მეტირა.

ამაზე მოძღვარმა უპასუხა:

– შენ ეს ნიჭი მორჩილებისთვის მიიღე და არა შენი დამსახურებისთვის. იცოდე, რომ ღვთის ყოველგვარ ნიჭს სიმდაბლე იცავს. ფრთხილად იყავი, არ გაამაყდე, არავინ განიკითხო და ყოველთვის აბრალე თავს. სხვებსაც აქვთ ეს ნიჭი, მაგრამ საკუთარ თავს ყველაზე უარესად მიიჩნევენ.

წმინდა მამები ამბობენ, რომ ღმერთი სათნოებებს სულიერი ღვანლისთვის კი არ ანიჭებს ქრისტიანს, არამედ სიმდაბლისთვის, და რაც უფრო მატულობს იგი ადამიანში, მით უფრო ამრავლებს უფალი ღვთაებრივ ნიჭებს.

თავმდაბლობა – ესაა სიმშვიდისა და სიხარულის
წყარო

ერთხელ შამორდინოს სავანის ერთ-ერთმა დამ უნებლიე შეცდომისათვის ილუმენიასგან მკაცრი საყვედური მიიღო. იგი შეეცადა აეხსნა მისთვის თავისი შეცოდების მიზეზი, მაგრამ განრისხებულ წინამძღვარს არაფრის გაგონება არ

სურდა და მონაზონს იქვე, ყველას წინაშე, მეტანიებით დაემუქრა. გულისტკივილი და წყენა დაეუფლა დას, მაგრამ დათრგუნა თავმოყვარეობა, გაჩუმდა და მდაბლად სთხოვა შენდობა ილუმენიას. სენაკში რომ დაბრუნდა, უეცრად სირცხვილისა და შფოთის ნაცვლად გულში ენით გამოუთქმელი სიხარული შეიგრძნო. იმავე საღამოს ყველაფერი ღირს ამბროსი ოპტინელს უამბო. წმინდა მამამ მისი მონათხრობი რომ მოისმინა, უპასუხა:

– ეს ამბავი ღვთის განგებულებით მოხდა. დაიხსომე იგი. ღმერთს სურდა დაენახე ბინა შენთვის, თუ რა ტკბილია თავმდაბლობის ნაყოფი – იმისთვის, რომ, რაკი მისი გემო გაიგე, ყოველთვის აიძულო თავი, ეძიო სიმდაბლე: ჯერ გარეგნული, შემდეგ კი შინაგანი. როცა ადამიანი აიძულებს თავს დამდაბლდეს, მაშინ უფალი მას შინაგანად ანუგეშებს, და აი სწორედ ესაა ის მადლი, რომელსაც ღმერთი თავმდაბალთ ანიჭებს. თავის მართლება მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება შემამსუბუქებელ საშუალებად, სინამდვილეში კი მას სულში წყვდიადი და შფოთი შემოაქვს.

თავმდაბალი კაცი ყოველთვის მშვიდობას ამყარებს ღმერთთან, საკუთარ თავთან და მოყვასთან. ცნობილი ეგვიპტელი მოღვაწე, პაფნუტი, ჰყვებოდა, რომ ახალგაზრდობაში იგი მუდმივად მოინახულებდა ხოლმე დიდ მამებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უდაბნოში ცხოვრობდნენ და მისგან 12 მილით იყვნენ დაშორებული. აბბა პაფნუტი მათ აღსარებაში ყველა თავის აზრს უხსნიდა, ისინი კი სულ ერთსა და იმავეს უმეორებდნენ: სადაც არ უნდა წახვიდე, სიმდაბლე დაიმარხე და მშვიდად იქნები.

თავმდაბლობას ადამიანისთვის სიმშვიდე, სიხარული და მადლიანი უშფოთველობა მოაქვს. თანაც, მიუხედავად ყველანაირი მწუხარებისა და ამქვეყნიური ამაოებისა, იგი ამ გრძნობებს ქრისტიანში შეურყეველს ხდის. თუკი ჩვენ ყოველნაირ განსაცდელში სიმდაბლის საფარველისკენ მივიღტვით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს იქნება ჩვენი სიძნელეების გადალახვის ერთადერთი სწორი გზა.

სიმდაბლის გარეშე ცხონება შეუძლებელია

ოპტინელი მოძღვრის – ანატოლის ერთი სულიერი შვილი, მონაზონი, თავის წერილში სთხოვდა ღირს მამას დაერიგებინა, რომ ცხონების გზას არ ასცდენოდა. მოძღვარმა მას პასუხად მისწერა: "დაიწყე თავმდაბლობით, გააგრძელე თავმდაბლობით და დაასრულე თავმდაბლობით, და წმინდანთა შორის შეირაცხები. ეს გზა, ანუ სიმდაბლის გზა, ყველაზე საიმედოა და, როგორც მამები ამბობენ, "არა სადა დაეცემის". რადგან სადღა უნდა დაეცეს თავმდაბალი, რომელიც თავს ყველაზე უარესად თვლის?"

ბერი ანატოლი ოპტინის უდაბნოში ცხოვრობდა. ეს იყო რუსეთის ერთ-ერთი სულიერი ცენტრი, სადაც მონაზვნებში სიმდაბლის აღზრდას პირველხარ-

ისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დიდი ოპტინელი მამები – ლეონი, მოსე და მაკარი – ცდილობდნენ თავიანთ მონაფეებში, უპირველეს ყოვლისა, სიმდაბლისა და სიმშვიდის სული ჩაენერგათ. მათ, თავად სიმდაბლის ცოცხალ მაგალითებს, მიაჩნდათ, რომ თავმდაბლობა ქრისტიანის სულიერი ცხოვრების საფუძველია. ეს შეხედულება ოპტინელ მამებს წმინდა წერილის, წმინდა მამათა თხზულებების ღრმა შესწავლისა და პირადი ასკეტური გამოცდილების წყალობით ჩამოუყალიბდათ. ოპტინელმა ბერებმა თავიანთ მონასტერში უძველესი ქრისტიანული კეთილკრძალულების სულიერი ტრადიციები ააღორძინეს. ამ ტრადიციის ფუძემდებლები კი ბევრს წერდნენ სიმდაბლეზე და ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მის უდავო აუცილებლობას ადამიანის ცხოვრების საქმეში. ასე მაგალითად, ღირსი მამა იოანე სინელი თავის სახელგანთქმულ წიგნში – "კიბენ – წერდა, რომ ეშმაკი მხოლოდ სიამაყის გამო გარდამოვარდა ზეციდან; დავით მეფე კი, როგორც თვითონვე ამბობდა საკუთარ თავზე, არც მარხულობდა, არც მღვიძარებდა, არც ცივ მიწაზე ეძინა, არამედ დამდაბლდა, და აცხოვნა ღმერთმა. წმინდა სიმდაბლე ზეცის კარიბჭეს ხსნის, და მის გარეშე ზეციურ სასძლოში ვერავინ შევა. "სიმდაბლე საქმეების გარეშეც ფარავს ბევრ ცოდვას, – ამბობს ისააკ ასური, – და, პირიქით, თავმდაბლობის გარეშე საქმეები უსარგებლოცაა და ბევრ სიავესაც გვიმზადებს. რაც მარილია საჭმლისთვის, იგივეა სიმდაბლე სათნოებებისთვის. თუკი მას მოვიპოვებთ, ღვთის ძეებად გვაქცევს და მოღვაწეობის გარეშეც წარგვადგენს ღვთის წინაშენ.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მარტო თავმდაბლობასაც შეუძლია აცხოვნოს ადამიანი, მაგრამ სხვა სათნოებებთან ერთად სულის ცხოვრების საქმე უფრო ხელსაყრელად წარიმართება. ერთხელ წმინდა იოანე წინასწარმეტყველს ჰკითხეს, თუ რა გზით შეიძლება სწრაფად ცხოვრება. ღირსმა მამამ მიუგო, რომ ყველაზე სწრაფად თავის სულს ის აცხოვნებს, ვინც თავმდაბლობას სხვა სულიერ ღვაწლსაც დაურთავს. შედარებით ნელა ცხოვრებიან ისინი, რომელთაც სიმდაბლე მოუპოვებიათ და მოღვაწეობის ნაცვლად მოყვასისგან წყენას ითმენენ. და უფრო ნელა კი ის ქრისტიანები ცხოვრებიან, რომელთაც მხოლოდ სიმდაბლე გააჩნიათ.

ჩქარა იქნება თუ ნელა, თუკი სიმდაბლეს მოვიპოვებთ, ჩვენ შევალთ ღვთის სასუფეველში, ხოლო ამ სათნოების გარეშე ცხოვრების არანაირი იმედი არ უნდა გვქონდეს.

სიმდაბლის არსი

რა არის სიმდაბლე? ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდათ ქრისტიან მოღვაწეებს. ერთხელ ამის გასარკვევად, როგორც წმინდა იოანე კიბისადმნერელი ჰყვება, რამდენიმე სულიწმიდით შემოსილი მამა შეიკრიბა. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

– სიმდაბლე საკუთარი კეთილი საქმეების მუდმივი დავინყებაა.

– სიმდაბლე ისაა, რომ საკუთარ თავს ყველა ადამიანზე უკანასკნელად და ცოდვილად თვლიდე, – თავისი აზრი გამოთქვა მეორემ.

– სიმდაბლე საკუთარი სისუსტეებისა და უძლურების შეცნობაა, – თქვა მესამემ.

დანარჩენებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი, მაგრამ მათგან არც ერთი არ იყო ამომწურავი. ყველას რომ მოუსმინა, ბოლოს წმინდა იოანე კიბისალმწერელმა ამ კეთილკრძალული მამების აზრები შეაჯამა.

სიმდაბლის განმარტებაში წმინდა იოანე კიბისალმწერელს ღირსი მამა ისააკ ასურიც ეთანხმება. იგი წერს, რომ სიმდაბლე ერთგვარი იდუმალი ძალაა, რომელიც მთელი თავისი სისავსით ღვთისაგან მხოლოდ წმინდანებს ეძლევათ. სიმდაბლე ყველა სათნოების თაიგულია და ამიტომაც აგვირგვინებს იმ ადამიანს, ვინც სრულყოფილებას მიაღწია. "სიმდაბლე ღვთაების შესამოსელია. მისით შეიმოსა განკაცებული სიტყვა და მის მიერ გახდა ჩვენი თანაზიარი ჩვენსავე სხეულში. და ყოველი, რომელმაც იგი შეიმოსა, ჭეშმარიტად მიემსგავსა თავისი სიმაღლიდან გარდამოსრულს – მას, ვინც სათნოება საკუთარი დიდებულებისა თავისივე სიმდაბლით დაფარა, რათა მისი მხილველი ქმნილება ფერფლად არ ქცეულიყო". ვინც შეიმოსავს თავმდაბლობას, ის თავად ქრისტეს შეიმოსავს. მაგრამ ვერც ასეთი ადამიანი შეძლებს აუხსნას სხვებს მათთვის გასაგებ ენაზე, თუ რა არის სიმდაბლე, იგი მხოლოდ და მხოლოდ თვითონ შეიგრძნობს მას.

მართალია, ჩვენი რაციონალური აზროვნებისთვის მიუწვდომელია სიმდაბლის ბუნება, მაგრამ ის კი შეგვიძლია, რომ ადამიანებში მისი ნიშნები დავინახოთ. ასეთი ნიშნები უამრავია, მაგრამ მათგან ძირითადია უვნებელობა და ღვთის ნებისადმი სრული მინდობა. სიმდაბლის ეს ორი ნიშანი აშკარად ჩანს, მაგალითად, ღირსი მამის – სალამან მღუმარის – პიროვნებაში.

წმინდა სალამანი ევფრატის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ერთ სოფელში ცხოვრობდა. მან თავისი პატარა ქოხის კარ-ფანჯარა მთლიანად ამოქოლა და საზრდოს მოსამარაგებლად წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოდიოდა გარეთ მინისქვეშა გასასვლელით. როცა მის შესახებ ადგილობრივმა ეპისკოპოსმა შეიტყო, წმინდა სალამანის მღვდლად კურთხევა მოინდომა. ეპისკოპოსის წარგზავნილებმა სალამანის ქოხის ერთ-ერთი კედელი გამოანგრეს და წმინდა მამა მეუფეს მიჰგვარეს, მან კი მღვდლად დაასხა ხელი. ცოტა ხანში ეპისკოპოსმა, ისე, რომ წმინდა სალამანისგან ერთი სიტყვაც კი არ გაუგონია, მისი უკან დაბრუნება და ქოხის კედლის ამოშენება ბრძანა. ამასობაში სალამანის მშობლიური სოფლის, კაპერსანის, მცხოვრებლები სურვილით აენტნენ, რომ ღირსი მამა თავიანთ სოფელში ეხილათ. ერთხელაც, შუაღამისას, მათ შეიპყრეს წმინდა მამა, წაიყვანეს კაპერსანში და მისთვის წინდაწინ აგებულ ქოხში დაასახლეს. თავისი გადასახლების დროს სალამან მღუმარე არ კამათობდა, არც არავის ენ-

ინააღმდეგებოდა და ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია. ერთ ღამესაც იმ სოფლის მოსახლეები, სადაც სალამანი ადრე ცხოვრობდა, მივიდნენ მასთან, ქოხი დაანგრიეს და წმინდა მამა ისევ თავიანთ სოფელში წაიყვანეს. მდაბალი მოსაგრე არც ამჯერად ეწინააღმდეგებოდა ვინმეს და არც იმას მოითხოვდა, რომ მისთვის თავი დაენებებინათ.

ასეთი იყო დიდი წმინდანების სიმდაბლე. ეს სათნოება, ამა თუ იმ საზომით, შეუძლია მოიპოვოს, და, უკეთ რომ ვთქვათ, მოვალეა მოიპოვოს თითოეულმა ჩვენგანმა. როგორ, რა გზით? ამის შესახებ – შემდეგ თავებში.

ნაწილი 2

თავმდაბლობა

საკუთარი უძღურების შეცნობა

წმინდა მამები ხშირად ხმარობდნენ სიტყვებს – "სიმდაბლე" და "თავმდაბლობა", როგორც სინონიმებს, მაგრამ მათს მნიშვნელობას მაინც განასხვავებდნენ. მამათა გაგებით, თავმდაბლობა – ესაა ადამიანის სწორი შეხედულება საკუთარ თავზე და გარემომცველ სამყაროზე. სწორედ თავმდაბლობა შობს სიმდაბლეს, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა შინაგანი გულითადი სიმშვიდის მდგომარეობა. მაშასადამე, თუკი ჩვენ გვსურს მოვიპოვოთ სიმდაბლე, ჯერ თავი უნდა დავიმდაბლოთ. მაგრამ რას ნიშნავს თავმდაბლობა და როგორ შეიძლება მისი მიღწევა? უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ თავმდაბლობა ადამიანში იწყება საკუთარი უძღურებისა და არარაობის შეცნობით.

მართალი თავს ურჩხულად მიიჩნევდა

ღირსი მამა მაკარი ოპტინელი თავის მრავალრიცხოვან სულიერ შვილთაგან ერთ-ერთს საკუთარ თავზე სწერდა, რომ იგი სიამაყითაა სავსე და ცოდვებშია ჩაფლული, და რომ თუკი მას (ამ სულიერ შვილს – მთარგ.) თვალი აეხილებოდა და შეძლებდა მოძღვრის ბოროტი საქმეების სულ მცირე ნაწილის დანახვას, მის მზერას თვალწინ ურჩხული წარმოუდგებოდა. ამას წერდა სულიერ სრულყოფილებას მიღწეული ადამიანი. მაგრამ წმინდა მამის ასეთი აზრი საკუთარ თავზე არცაა გასაკვირი: ღვთაებრივი დიდების ნათელში მართალი უფრო ცხადად ხედავს თავის ადამიანურ ნაკლს, რაც მას კიდევ უფრო მეტი თავმდაბლობის საბაბს აძლევს.

სახელგანთქმული მოსკოველი დეკანოზი ალექსი მეჩოვი ათასობით მორწმუნის სულიერ ცხოვრებას ხელმძღვანელობდა, ჰქონდა შორსმჭვრე-

ტელობის ნიჭი და სასწაულებსაც ახდენდა. მსახურების ორმოცი წლის თავზე მას საპატრიარქო სიგელი გადასცეს, და რაკი მამა ალექსი საკუთარ თავზე მდაბალი წარმოდგენისა იყო, ისე აუჩუყდა ამის გამო გული, რომ აქვითინდა. ქადაგებებისა და საუბრების დროს იგი ხშირად აღნიშნავდა საკუთარ არარაობას და თავის თავს "უბადრუკს" უწოდებდა. და ამას ისეთი დამაჯერებლობით ამბობდა, რომ მსმენელებს გულები მისდამი სიბრალულით ეკუმშებოდათ და მზად იყვნენ, მასთან ერთად ეტირათ.

საკუთარი არარაობის განცდა წმინდანებში ძალზე ღრმა და ყოვლისმომცველი იყო. ჩვენ უეჭველად უნდა მივსდით მათ მაგალითს და განუწყვეტილად უნდა ვნერგოთ ეს გრძნობა საკუთარ გულში. ამისთვის საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად ვიფიქროთ ჩვენს ცოდვებზე და თავი თვალუწვდენელი სამყაროს იმ უმცირეს ნაწილაკად წარმოვიდგინოთ, კაცობრიობის ისტორიის დროსა და მოვლენებში რომ ჩაკარგულა.

თუმცა ამაზე ფიქრს ერთგვარი სიფრთხილაც სჭირდება – რომ საკუთარი არარაობისა და ცოდვილობის განცდამ სულმოკლეობამდე არ მიგვიყვანოს. ჩვენი სისუსტეებისა და ცოდვების ხსოვნასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ჩვენდამი ღვთის უდიდესი სიყვარულიც – მან თავის მდაბალ მონებს ცათა სასუფეველში სავანეები განუმზადა. ჩვენ ცხოვნების მთელი იმედი ღმერთს უნდა მივაპყროთ და მხოლოდ მასში, ერთადერთში, უნდა ვპოვოთ სულიერი ძალები და ნუგეში, საკუთარი თავისგან კი სულიერების მხრივ კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ.

როგორ უნდა დავივიწყოთ საკუთარი უძლურების შეცნობა? ადამიანი თავის არარაობას ყველაზე უკეთ მაშინ აცნობიერებს, როდესაც თავის ცოდვებსა და უძლურებებზე ფიქრს ღვთისადმი მონანულ ლოცვას შეუერთებს. ცნობილი მოღვაწე – სქიმონაზონი დედა არდალიონა ჰყვებოდა, რომ ერთხელ, ღამით, თავის სენაკში სინანულის კანონს კითხულობდა, რომელშიც კაცი მატლსა და მინის მტვერსაა შედარებული. უეცრად მას საკუთარი არარაობის ღრმა განცდა დაეუფლა. ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო და მონაზონმა ისეთი შვება იგრძნო, რომ ცრემლები ღვარად წამოუვიდა და მთელი დარჩენილი ღამე მუხლმოყრილ ლოცვაში გაატარა.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ცოდვების განცდას, თუ ის ღვთისგანაა, ყოველთვის თან სდევს მადლმოსილი სიხარული, და არა მონყინება. ილუმენობიდან გადამდგარი მამა თეოდოსი (პოპოვი) ოპტინის უდაბნოს სკიტში ცხოვრობდა. მას უკვე მიეღწია სულიერი ცხოვრების სიმადლეებისათვის, თუმცა ეშმაკები ხშირად ესხმოდნენ თავს მონყინების აზრებით. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს მამა თეოდოსი თითქმის სასონარკვეთას მიეცა. იგი წმინდა ამბროსი ოპტინელთან მივიდა და ტირილით უთხრა:

– მამაო, მიშველე, ვიღუპები! ღორი ვარ, მონაზონი კი არა: რამდენი წელია მანტიას ვატარებ და ჩემში არაფერია მონაზვნური. მხოლოდ ღორი შეიძლება დამერქვას!

წმინდა ამბროსიმ მშვიდად გაიღიმა, მის წინაშე თავდახრილ იღუმენს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ასეც იფიქრე, ასეც იფიქრე სიცოცხლის ბოლომდე საკუთარ თავზე, მამაო იღუმენო. მოვა დრო და ჩემზე და შენზე, ღორებზე, წიგნებსაც დანერენ.

ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: შემდგომში ღირსი ამბროსი ოპტინელისა და იღუმენ თეოდოსის ცხოვრებაზე, მათს სულიერ ღვანლზე შთამომავლობის დასამოძღვრად წიგნები დაინერა. ასე განადიდებს უფალი მართლებს, რომელთაც გულწრფელად მიაჩნიათ თავი უდიდეს ცოდვილებად.

წმინდანები თავიანთ დამსახურებას ვერ ხედავდნენ

ერთხელ აბბა არსენი დიდის სენაკთან მისი მორჩილები მივიდნენ და გაიგონეს, თუ როგორ ლოცულობდა წმინდანი:

– ღმერთო, ნუ დამიტევებ! არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა, არამედ შემენიე, რომ შენი მადლით ახლა მაინც დავდვა საფუძველი!

ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მოღვაწე ვერ ხედავდა თავის სიდიადეს და, უფრო მეტიც, ღმერთს ევედრებოდა, დამეხმარე, რომ სულის ცხოვრების საქმე დავინყო. ასეთი დამოკიდებულება საკუთარი სულიერი ცხოვრებისადმი მრავალი წმინდანისთვის იყო დამახასიათებელი.

ერთხელ წმინდა მაკარი დიდი თავის სენაკში იჯდა. უეცრად მის წინაშე ღვთის მიერ მოვლინებული ანგელოზი წარდგა.

– მაკარი! – უთხრა მან წმინდანს. – ნუ გეშინია უხილავი მტრების თავდასხმებისა, რამეთუ ჩვენი სახიერი მეუფე არ მიგატოვებს და არ დააცადებს შენს შენევნას. გამხნევი, გაძლიერდი, მამაცურად დააკვეთე წინააღმდეგომი, მაგრამ შენი საქმეებით ნუ იამაყებ, რომ ღვთაებრივი შემწეობა არ დაკარგო და საკვირველი დაცემით არ დაეცე.

აბბა მაკარიმ ეს რომ მოისმინა, ატირდა და თქვა:

– რითი უნდა ვიამაყო, როცა ჩემი სული, გარყვნილი მეძავის მსგავსად, ეშმაკების მიერ დათესილი უწმინდური გულისსიტყვების სიმყრალით საზრდოობს.

ამას ამბობდა კაცი, რომელმაც უვნებელობას მიაღწია, მრავალი სულიერი ღვანლი აღასრულა და ღირსი შეიქმნა, სინმინდის უმაღლეს საფეხურზე ასულიყო. მაგრამ არც ერთ ადამიანს არ ძალუძს მუდამ ახსოვდეს თავისი ცოდვები, თუ მას რამე ისეთი განსაცდელი არ შეაურვებს, რომლისგანაც ძალღონე ელევა. იმის გამო, რომ დიდმა წმინდანებმა სძლიეს ყველა თავიანთ ვნებას და მათი ცდუნება რაიმე ნივთიერით უკვე შეუძლებელი იყო, ღმერთი ეშმაკ-

ებს მიუშვებდა ხოლმე, რათა მათ ეს რჩეული ჭურები გულისსიტყვებით შეეშფოთებინათ, რითაც საშუალებას აძლევდა წმინდანებს, სიმდაბლის გზით კიდევ უფრო მეტი სრულყოფილებისთვის მიეღწიათ. ისინი კი ნელ-ნელა ისე რწმუნდებოდნენ საკუთარ არარაობაში, რომ მათი ამ შეხედულების შერყევა უკვე არავის არანაირად აღარ შეეძლო.

როდესაც ღირსი მამა მაკარის უმცროსი თანამედროვე, წმინდა სისო დიდი, სიკვდილს მიეახლა, სარეცელზე დაწვა, მის ირგვლივ კი მისი თანამოღვაწენი შეიკრიბნენ. უცბად მამებმა დაინახეს, რომ წმინდანის სახე მზესავით გაბრწყინდა.

– აი, აბბა ანტონი დიდი მოვიდა, – წარმოთქვა მომაკვდავმა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ დაამატა:

– აი, წინასწარმეტყველთა დასი მოვიდა.

ცოტა ხნის შემდეგ აბბა სისოს სახე კიდევ უფრო გაბრწყინდა ზეციური ნათლით და მან თქვა:

– აი, მოციქულთა დასს ვხედავ.

წმინდა მამის სახიდან გამომავალი ნათელი თანდათან ძლიერდებოდა და მან უხილავ მნახველებთან დაიწყო საუბარი.

ძმებმა ჰკითხეს:

– მამაო, ვის ელაპარაკები?

– ანგელოზები მოვიდნენ ჩემს წასაყვანად და ვევედრები, ცოტა კიდევ მადროვონ, რომ შევინანო.

– მამაო, – თქვეს ბერებმა, – შენ არ გჭირდება სინანული.

– არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯერაც არ დამიწყია სინანული, – მიუგო აბბა სისომ, და მისი სახე უკვე იმდენად გაბრწყინდა, რომ იქ მყოფნი ძრწოლამ მოიცვა.

– იხილეთ, აი უფალი მოვიდა და ამბობს: "მომართვით მე უდაბნოს რჩეული ჭური", – თქვა წმინდანმა და სული განუტევა. მყისვე მისი სენაკი გამოუთქმელი კეთილსურნელებით აღივსო.

აბბა დოროთე წერს, რომ სიმდაბლის უმაღლესი საზომი ისაა, როცა კაცი თავის ყველანაირ სულიერ ღვაწლს მხოლოდ ღმერთს მიაკუთვნებს. როგორც ნაყოფით დახუნძლული ხის ტოტები იზნიქება მიწისკენ, ასევე არიან მართლებიც, – რაც უფრო უახლოვდებიან ღმერთს, მით უფრო მდაბლდებიან და თავიანთ თავს ცოდვილებად ხედავენ.

ჩვენც უნდა მივბაძოთ წმინდანებს და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ჩვენ თვითონ არაფერს წარმოვადგენთ, და საკუთარი წარმატებები ცხონების გზაზე მხოლოდ ღვთის შეწევნით უნდა ავხსნათ. მტკიცედ უნდა გვწამდეს, რომ ღვთის განუწყვეტელი მფარველობის გარეშე ვერაფერს შევძლებთ, ვერანაირი კეთილი ან სულისთვის სასარგებლო საქმის აღსრულებას.

დავინყებული ღირსებები

წმინდა არსენი დიდმა ეგვიპტის უდაბნოში განმარტოებამდე მრავალი წელი დაჰყო ბიზანტიის იმპერატორის, თეოდოსი დიდის, კარზე. იგი ჩინებული კარისკაცი და თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო. მისი ხელმძღვანელობით აღიზრდებოდნენ მომავალი იმპერატორები – არკადი და ჰონორიუსი. ბერად რომ აღიკვეცა, არსენიმ სულიერ სრულყოფილებას მიაღწია. რაკი საერო განათლებასაც ფლობდა და უდიდეს ასკეტურ გამოცდილებასაც, ღირს მამას შეეძლო სულიერ თემებზე ფასდაუდებელი წიგნები დაენერა. მაგრამ რამდენიც არ უნდა ეთხოვათ მისთვის, არსენი არც ერთ საღვთისმეტყველო საკითხზე აზრს არასდროს გამოთქვამდა, წერილებსაც კი ძალზე იშვიათად და უხალისოდ წერდა. იმის შემდეგ, რაც საკუთარი არარაობა შეიცნო, შეუძლებლად მიაჩნდა რამე დაენერა ან საჯარო სწავლებები წარმოეთქვა. იგი ბაგეებს მხოლოდ თავისი რამდენიმე მოწაფის დასამოძღვრად ხსნიდა.

XX საუკუნის ყარაგანდელ მოღვაწეს, სქიარქიმანდრიტ სებასტიანეს, როგორც ამას მისი მსახურება მოითხოვდა, ხალხი ამბიონიდან უნდა დაემოძღვრა. ის კი ქადაგების დროს ძირითადად ცნობილი მქადაგებლების თხზულებებს კითხულობდა, ისე, რომ თავისას არაფერს ამატებდა. მოძღვარი ამას იმით ხსნიდა, რომ არავითარი განათლება არ ჰქონდა მიღებული, თანაც არც სიტყვის ნიჭი გააჩნდა და არც სათანადო ხმა. ამავდროულად კი მის უამრავ სულიერ შვილს შორის ბევრი განათლებული ადამიანი იყო, მაგალითად, მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი – ეპისკოპოსი პიტირიმი. როგორ არ გავიხსენოთ აქ წმინდა იოანე კიბისალმწერლის სიტყვები, რომ სიმდაბლის უაღმატებულესი ხარისხი – ეს საკუთარი კეთილი საქმეებისადმი სრული უნდობლობა და სწავლის მუდმივი სურვილია.

თითოეულ ჩვენგანს, ამა თუ იმ საზომით, ცხადია, გააჩნია რაღაც დადებითი თვისებები, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა დავივიწყოთ, იმისთვის, რომ ხელი არ შეგვიშალონ საკუთარი არარაობის დანახვაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ღირსებები, იქნება ეს თანდაყოლილი თუ შეძენილი, მხოლოდ ღვთის საბოძვარია. მათი არსებობა ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ნებაზე დამოკიდებული. ამიტომ ჩვენთვის ძალზე სასარგებლო იქნება, თუკი შეძლებისდაგვარად ხშირად გადავავლებთ სულიერ თვალს ჩვენს ყველა სისუსტეს, ნაკლსა თუ ვნებას. ამგვარი ჭვრეტა ჩვენ დაგვეხმარება, დავივიწყოთ საკუთარი ღირსებები და რეალურად შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობები.

როდესაც ცხადად შევიგრძნობთ საკუთარი ზნეობრივი დაცემის მთელ დამლუპველობას, მაშინ ჩვენში სულიერი აღორძინებისადმი სწრაფვა იღვიძებს და ვინყებთ გაძლიერებულ მოღვაწეობას სულის ცხონების საქმეში, მაგრამ ძალიან მალე ვრწმუნდებით საკუთარ უღონობაში. ცხონების გზაზე წარმატებებს მხოლოდ მაშინ მივალწევთ, როცა თავდაჯერებულობას განვაგდებთ და მთელ ჩვენს იმედს ღვთის შეწევნაზე დავამყარებთ.

ერთხელ ოპტინელმა ბერმა ნექტარიოსმა არქიმანდრიტ ბენიამინს (ფედჩენკოვს, მომავალ მიტროპოლიტს) ხელით გარემომცველ ბუნებაზე მიუთითა და უთხრა:

– ნახეთ, რა სილამაზეა – მზე, ცა, ხეები, ყვავილები... უნინ კი ხომ არაფერი იყო! ა-რა-ფე-რი! და ღმერთმა არაფრისგან შექმნა ასეთი სილამაზე. ასეა კაციც: როცა ის გულწრფელად შეიცნობს, რომ არარაობაა, ღმერთიც მისგან დიდებულის შექმნას დაიწყებს.

სქილუმენ ანტონი ოპტინელს 30 წელი ფეხები აწუხებდა. ისინი მუხლებამდე საშინელი სისხლმდინარე წყლულებით იყო დაფარული. ერთხელ ღირს მამას ცნობილი მართლმადიდებელი მოაზროვნე ი. ვ. კირეევსკი ეწვია. ბერის ტანჯვა რომ დაინახა, უთხრა:

– აი, მამაო, წერილის სიტყვა აღესრულება – "მრავალ არიან ჭირნი მართალ-თანი": რა მძიმე ჯვარი გარგუნათ ღმერთმა!

– სწორედაც რომ, – შეეპასუხა ღირსი ანტონი, – მართლებს – ჭირი, მე კი – მხოლოდ გვემა, როგორც წმინდა დავით მეფე ამბობს: "მრავალ გვემა არიან ცოდვილთათვის".

თუკი მუდამ გვეხსომება საკუთარი არარაობა და ცოდვები, და გვექნება ღვთის მოწყალების იმედი, ჩვენი სული დამდაბლდება, გული კი შეიმუხრება. და მაშინ უფალი, გვიხილავს რა დამდაბლებულებს, მოთოკავს ჩვენს სიამაყეს და მოგვანიჭებს მადლს, რომ მოვიქცეთ თავმდაბლურად, მოვიძულოთ მიწიერი გულისთქმები და დავცინოთ ამასოფლის დიდებას.

ნაწილი 3

შინაგანი თავის დამდაბლება

სიმდაბლის გრძნობა ადამიანის გულშია, მაგრამ იშვება გონების დამდაბლებული მდგომარეობიდან. თუ გვსურს გავხდეთ თავმდაბალი ქრისტიანები, მაშინ, საკუთარი უძლურების შეცნობასთან ერთად, აუცილებელია, ვიქონიოთ სწორი შეხედულება ადამიანებზე და მათდამი ჩვენს დამოკიდებულებაზე. მოყვასის წინაშე აზრით თავის დამდაბლება თანდათანობით მიგვიყვანს მათ წინაშე საქმით სიმდაბლემდე. იმისთვის, რომ შევიტყოთ, თუ როგორ მოიპოვება სიმდაბლე ადამიანების წინაშე, უმჯობესია მივმართოთ წმინდანთა გამოცდილებას.

როცა მდიდარი და დიდგვაროვანი ოჯახიდან გამოსული ღირსი გრიგოლ სინელი მონასტერში მივიდა, მას მორჩილება სამზარეულოში მისცეს. სამ წელიწადზე მეტ ხანს ემსახურა იგი ძმებს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიქრობდა, რომ ადამიანებს კი არა, ანგელოზებს ემსახურებოდა. სამზარეულოს კი წმინდანი ღვთის ტაძრად და საკურთხევლად მიიჩნევდა.

წმინდა გრიგოლის სიმდაბლე ადამიანების წინაშე ეფუძნებოდა მოყვასისადმი მის სიყვარულს. სიყვარულით აღსავსე ქრისტიანი გულწრფელად ფიქრობს, რომ კაცთა შორის ყველაზე უარესია. საკუთარ თავზე ასეთი წარმოდგენის მქონე თავმდაბალი ადამიანი მუდამ მზადაა მოემსახუროს მოყვასს თუნდაც სულ მცირე წვრილმანებშიც კი.

მოყვასისადმი სიყვარული, რომელიც თავმდაბლობითაა განმსჭვალული, ყველა ადამიანს სწვდება, მიუხედავად მათი მრწამსისა, ეროვნებისა, ცხოვრების წესისა თუ საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა. თავმდაბალ ქრისტიანს აშკარა ცოდვილებიც კი უყვარს, რადგან მიაჩნია, რომ მათი უსჯულოების მიზეზი თავად მათში კი არაა ჩაბუდებული, არამედ ეშმაკებში, რომელთაც სუსტი სულები აცდუნეს.

ბერმა მოსემ როსლავლის ტყეებში განმარტოებული ცხოვრება მიატოვა და ოპტინის უდაბნოში დასახლდა, სადაც მალე წინამძღვარი გახდა. მრავალი წლის შემდეგ ერთ-ერთ გულახდილ საუბარში მას ჰკითხეს, თუ როგორ გრძნობდა თავს იმის შემდეგ, რაც ტყის მღუმარების ნაცვლად საყოფაცხოვრებო საზრუნავში ჩაეფლო და სხვადასხვა წოდების ადამიანთა გარემოში აღმოჩნდა. ბერმა გაიღიმა და თქვა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ახლა ცდილობს ყველას კეთილი და სუფთა თვალთ შეხედოს, ხოლო მაღალი წრის წარმომადგენლებს კი, მას რომ სტუმრობენ, ისე ექცევა, როგორც წმინდანებს, მართლებსა და ღირსებს, და გულში ყოველთვის იმდაბლებს თავს მათ წინაშე.

ღირსი მოსეს მიმბაძველებმა, ჩვენც ისე უნდა შევხედოთ თითოეულ ადამიანს, როგორც ღვთის მშვენიერ ქმნილებას, შემკულს მისივე ხატებით, და განკუთვნილს ღვთის მიმსგავსებისათვის; ჩვენც ყოველი ადამიანი ღვთის საყვარელ შვილად უნდა ჩავთვალოთ და მოყვასთან ურთიერთობისას შინაგანად თავი უნდა დავიმდაბლოთ, უნდა გავიხსენოთ ჩვენი ცოდვები, სისუსტეები და ვნებები. ამასთან, უნდა ვეცადოთ, რომ თითოეული ადამიანი, ნიჭებითაც და სათნოებების მხრივაც, საკუთარ თავზე უკეთესად ვცნოთ. თუ ჩვენ ამას მთელი გულმოდგინებით გავაკეთებთ, მაშინ უკვე ვეღარ შევნიშნავთ მოყვასის ვერანაირ ნაკლოვანებას, რომლებიც ზოგჯერ მართლაც რომ აბნელებენ მათში ღვთის ხატებას.

სიკვდილის წინ ცოტა ხნით ადრე მძიმე სნეულებით გატანჯულმა სქიარქიმანდრიტმა მოსემ თავის ერთ-ერთ სულიერ მეგობარს საუბარში უთხრა:

– სხვები შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ფიქრობენ, რომ ყველაზე უარესები არიან, მე კი ჩემი მონაზვნური ცხოვრების 57 წლის მანძილზე გამოცდილებით შევიტყვე, რომ მართლა ყველაზე უარესი ვარ.

ასეთი აზრი ჰქონდა საკუთარ თავზე ყველა წმინდანს. სქიმღვდელმონაზონი ნექტარიოსი, კრებსითად არჩეული უკანასკნელი ოპტინელი მოძღვარი, მრავალრიცხოვანი სამწყსოს სულიწმიდით შემოსილი წინამძღვარი, თავის თავზე ყოველთვის მდაბლად ამბობდა:

– მე დამწყები ვარ, მე ვსწავლობ, მე არაფერი გამეგება... ასაკით უხუცესი ვარ სავანეში, 50 წელზე მეტი გავატარე აქ, მაგრამ სათნოებებით – უმცირესი. მე, ჭიანჭველა, მიწაზე დავლოლავ და ყველა თხრილსა თუ ორმოს ვხედავ, ძმები კი ძალზე მალლა, ღრუბლებამდე აღინევიან.

მართლები არ გამოეძიებდნენ, იმსახურებს თუ არა მოყვასი პატივისცემას. ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ მის ურიცხვ, აშკარა ნაკლოვანებებს. მათი აზრი მხოლოდ იმას იყო მიჯაჭვული, რამენაირად არ დავინწყებოდათ, რომ ყოველი ადამიანი ღვთის ხატებაა და მოყვასისთვის გაკეთებულ ჩვენს ყველა საქმეს იესო ქრისტე ისე მიითვალავს, როგორც თავად მისთვის აღსრულებულს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სურვილი – ვერ შევნიშნოთ სხვისი ცოდვები და სისუსტეები, მარტოოდენ კეთილი განზრახვაა და ჯერ კიდევ შორსაა ჭეშმარიტი სიმდაბლისაგან. როცა ქრისტიანი ამ სათნოებაში სრულყოფილებას მიაღწევს, ის უკვე ველარ შეძლებს სხვა ადამიანის ნაკლის დანახვას, რამეთუ მისი მზერა მუდამ საკუთარი ცოდვებისკენაა მიპყრობილი. ჭეშმარიტი სიმდაბლით აღვსებულ სწორედ ასეთ ადამიანთან მოუწია შეხვედრა თავისი ცხოვრების გზაზე წმინდა ანტონი დიდს. ერთხელ, როცა იგი თავის სენაკში ლოცულობდა, ზეგარდამო ხმა ჩაესმა:

– ანტონი! შენ ჯერ კიდევ არ მიგიღწევია იმ მენაღის საზომისთვის, ალექსანდრიაში რომ ცხოვრობს.

სულიერ სრულყოფილებას მიღწეული კაცის ხილვის სურვილით აღძრული ღირსი მამა უთენია ადგა, კვერთხი აიღო, ალექსანდრიისკენ გაემშურა და ხალხმრავალ ქალაქში მითითებული ხელოსანი მონახა. მენაღე დიდად გაოცდა, მასთან სტუმრად მისული სახელოვანი მოღვაწე რომ იხილა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მაშინ გაოცდა, როცა დიდმა მამამ სთხოვა მას, მოეთხრო თავისი სულიერი ღვაწლის შესახებ. მენაღემ უთხრა:

– არ მახსოვს, ოდესმე რაიმე სიკეთე გამეკეთებინოს. ამიტომ დილაობით რომ ვდგები, სანამ სამსახურში წავალ, ჩემს თავს ვეუბნები: "ამ ქალაქის ყველა მკვიდრი, დიდი თუ პატარა, თავისი სათნოებების გამო შევა ცათა სასუფეველში. მე კი, ერთადერთი, ჩემი ცოდვების გამო მარადიულ სატანჯველში წავალ". ამასვე ვიმეორებ გულში მანამ, სანამ დასაძინებლად დავწვები.

მენაღის ეს სიტყვები რომ მოისმინა, ანტონიმ წარმოთქვა:

– ჭეშმარიტად, შვილო ჩემო, შენ, როგორც გამოცდილი ოქრომჭედელი, მშვიდად ზიხარ საკუთარ სახლში და გულში უკვე ღვთის სასუფეველი დაიმკვიდრე; მე კი, თუმცა მთელი ცხოვრება უდაბნოში გავატარე, სულიერი გულისხმისყოფა მაინც ვერ მოვიპოვე, ჯერაც ვერ მივწვდი შეგნების იმ საზომს, რომელსაც შენ შენი სიტყვებით გამოხატავ.

მან, ვისთვისაც უცხოა ქრისტიანული სიმდაბლე, შესაძლოა იფიქროს, რომ განუწყვეტელ თავის დამდაბლებას სული მოწყინებამდე, ანდა სულაც სასონა-

რკვეთამდე მიჰყავს, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ასე არაა. უფალი თავის მონებს საშუალებას აძლევს, თავიანთი სულიერი შრომის ნაყოფები უკვე ამ ცხოვრებაშივე იხმიონ.

წმინდა მღვდელმთავარი ეგნატე (ბრიანჩანინოვი) იხსენებდა, რომ ერთხელ, სიჭაბუკეში, როცა ჯერ კიდევ მორჩილი იყო, მონასტრის სატრაპეზოში საჭმელს არიგებდა. და როდესაც ერთ-ერთ მაგიდაზე, სადაც სხვა მორჩილები ისხდნენ, კერძი დადგა, გონებაში თავისთვის თქვა: "მიიღეთ ჩემგან, ღვთის მონებო, ეს კნინი მსახურება". უეცრად მისი გული ისეთმა სიხარულმა აავსო, რომ წაბარბაცდა კიდევ. სულის ამ მადლიან მდგომარეობას ახალგაზრდა მოღვაწე კიდევ ერთ თვეს განიცდიდა. სხვა დროს მომავალი მღვდელმთავარი სეფისკვერის საცხოვრებელში შევიდა და შინაგანი თავის ბრალობით იქ მშრომელ ძმებს მდაბლად სცა თაყვანი. უცბად მადლი ისეთი ძალით მოეფინა მის სულს, რომ ხორციელად დაუძღურდა და იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ წასულიყო სენაკში და დაწოლილიყო.

ქრისტიანი, რომელიც სიმდაბლეში სრულყოფისაკენ მიისწრაფის, ყოველ ადამიანს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მართალს, საკუთარ თავს კი ადამიანის წოდების ღირსადაც არ უნდა თვლიდეს. როდესაც წმინდა არსენი დიდმა მეფის კარზე მაღალი თანამდებობა მიატოვა, ეგვიპტის სკიტში მივიდა და პრესვიტერებს განუცხადა, მონაზვნობა მინდაო. იგი წმინდა იოანე მოკლესთან მიიყვანეს. სულიწმიდით აღვსილმა მოძღვარმა გადაწყვიტა არსენი გამოეცადა და როცა მამები სატრაპეზოდ დასხდნენ, მან იგი სუფრასთან კი არ მიიწვია, არამედ იქვე დატოვა, ფეხზე მდგომი. არსენიმ მიწას მიაპყრო მზერა, იდგა და ფიქრობდა, რომ ღვთისა და მისი ანგელოზების წინაშე დგას. ჭამა რომ დაიწყეს, ღირსმა იოანემ ორცხოვნილა აიღო და მეფის ყოფილ მოხელეს გადაუგდო. არსენიმ თავის წინაშე ძირს დაგდებული ორცხოვნილა რომ დაინახა, იფიქრა: "მოძღვარი ღვთის ანგელოზითაა, მიხვდა, რომ მე ძალდი და ძალზე უარესი ვარ და ამიტომაც მომცა პური ისე, როგორც ძალღს აძლევენ. მოდი, მეც ისე შევჭამ, როგორც ძალღები ჭამენ". ამის გაფიქრება იყო, და იგი ოთხზე დადგა, ორცხოვნილასთან მიხობდა, კბილებით აიღო, კუთხეში მიიტანა და იქ შეჭამა. წმინდა მამამ ეს რომ დაინახა, პრესვიტერებს უთხრა:

– მისგან დახელოვნებული მონაზონი დადგება!

მცირე ხნის შემდეგ იოანე მოკლემ არსენის საკუთარი საცხოვრებლის შორიანხლოს მისცა სენაკი და მისთვის თავისი უმდიდრესი სულიერი გამოცდილების გაზიარება დაიწყო.

სიმდაბლის მთელი სიღრმე იმ ქრისტიანს ეხსენება, რომელიც საკუთარ თავს არა მარტო ყველა ადამიანზე უარესად მიიჩნევს, არამედ პირუტყვებსა და ეშმაკებზე უარესადაც კი.

შესანიშნავი წიგნის – "მთანმინდელის წერილების" – ავტორი, სქიმღვედელ-მონაზონი სერგი, ერთხელ ათონელ განდეგილს, მამა ტიმოთეს, სიმდაბლზე ესაუბრებოდა.

– იმისათვის, რომ სრულყოფილებას მივალწიოთ და სახარებისეული სიმდაბლის მთელ სიმაღლეს მივწვდეთ, – თქვა განდეგილმა, – უნდა მივაჩვიოთ საკუთარი თავი, ამგვარად ვიფიქროთ და ვირწმუნოთ: მე პირუტყვზე კი არა, თვით ეშმაკზე უარესიც ვარ.

– რას ამბობ! ეს უკვე ნამეტანია, – შეედავა მამა სერგი, – ეს შეუთავსებელიც კია ჩვენი სულის მაღალი ღირსების ცნებასთან. ის, რომ ცხოველზე უარესი ვარ, სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ეშმაკზე უარესი?! ამის თქმა ადამიანზე, რომელიც ღმერთკაცის სისხლითაა გამოსყიდული, არათუ არ ივარგებს, არამედ ცოდვაც იქნება.

– თქვენი სწავლული სიამაყის მიხედვით შესაძლოა ეს ასეც იყოს, – ღიმილით მიუგო მამა ტიმოთემ, – მაგრამ ჩვენი მონაზვნური უმეცრებისთვის ეს სახარებით დადასტურებული უდავო ჭეშმარიტებაა. ყოველი ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა და, ამასთან ერთად, – ეშმაკისაც, რომელსაც "ბოროტების მთავარი" ეწოდება. და ვინ არის ჩვენს შორის უცხო ცოდვისაგან, ვინ არ არის უსჯულოების მონა? და განა შეუძლია მონას ბატონზე მაღლა დადგეს? ჩვენ ეშმაკზე უარესები იმიტომაც ვართ, რომ მისთვის არ დაღვრილა ღმერთკაცის ფასდაუდებელი სისხლი, მისთვის არ შეწირულა გამოსხნის მსხვერპლი; ჩვენ კი მეუფის სისხლით ვართ გამოსყიდულნი, მეუფისა, რომელმაც ყველა ღონე იხმარა ჩვენი ცხოვნებისათვის. მაშ, ვართ კი ჩვენ ეშმაკზე უკეთესები, თუკი ამ ყველაფერს უგულვებელყოფთ? რაღა თქმა უნდა, მასზე გაცილებით უარესები ვართ.

თავის ბრალობა განსაცდელების დროს

ღირსი მამა ამბროსი ოპტინელი ჰყვებოდა, რომ ერთხელ იმპერატორი ნიკოლოზ I საპყრობილეში მივიდა და პატიმრებს გამოჰკითხა, ვინ რა დანაშაულისთვის იყო დაჭერილი. თითოეული მათგანი ცდილობდა, დაერწმუნებინა მეფე, რომ სრულიად უდანაშაულო იყო და უსამართლოდ ისჯებოდა. და აი, ბოლოს იმპერატორი ერთ პატიმართან მივიდა და ჰკითხა:

– შენ რისთვის ზიხარ აქ?

– ჩემი დიდი ცოდვებისთვის! ჩემთვის საპყრობილეც ცოტაა, – გულშემუსრვილებით მიუგო პატიმარმა.

იმპერატორი გააოცა ტუსადის სიტყვებმა, იგი ციხის მოხელეებს მიუბრუნდა და უბრძანა:

– ახლავე გაათავისუფლეთ!

ჩვენი თავმდაბლური დამოკიდებულება ადამიანებისადმი მაშინ გამოიხატება, როცა ისინი მწუხარებებსა და განსაცდელებს მოაწვევენ ჩვენზე. შეიძლება სულიერი სიმშვიდის დროს ჩვენ დაბეჯითებით ვიფიქროთ, რომ ყველაზე უარესები ვართ, მაგრამ მწუხარების ჟამს ამის გაკეთება გაცილებით უფრო ძნელია. აქ ხმას იმაღლებს თავის მართლება და ჩვენც გამალებული ვეძიებთ, თუ ვინაა დამნაშავე ჩვენს უბედურებაში. იმისთვის, რომ განსაცდელებში თავმდაბლობამ არ მიგვატოვოს, აუცილებელია განუწყვეტელი თავის ბრალობა.

რა არის თავის ბრალობა?

თავის ბრალობა – ესაა საკუთარი თავის შინაგანი დადანაშაულება უვარგისობასა და ცოდვილობაში. თავის ბრალობის დროს ჩვენ ჩვენი დაცემების, განსაცდელებისა და უბედურებების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავში უნდა დავინახოთ და არა სხვა ადამიანებსა თუ გარემოებებში. თავის ბრალობა გვევლინება ძალადობად ჩვენს გარყვნილ ბუნებაზე, იმდენად რამდენადაც ჩვენ, ამა სოფლის დაცემულ მკვიდრთ, გვჩვევია საკუთარი თავის ყველაფერში სწორად მიჩნევა და საკუთარი სიმართლის ყველანაირი ხერხით მტკიცება. ამ დროს კი თავის ბრალობა ჩვენი დაცემული ბუნების გამოსასწორებელი საშუალებაა. როგორ ვისწავლოთ სწორი თავის ბრალობა? მოდით, სახელოვანი მოღვაწეების გამოცდილებას მივმართოთ.

კიევ-პეჩორის ლავრის მკვიდრი – სქიმღვედელმონაზონი ანტონი ახალგაზრდობაში ოპტინის უდაბნოს მორჩილი და ბერ ლეონის სულიერი შვილი იყო. შემორჩენილია მისი მოგონებები იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლიდა მას ღირსი მამა ლეონი თავის ბრალობასა და ბრძოლას თავის მართლებასთან.

ზოგჯერ ახალგაზრდა მორჩილი ვინმეს წაეჩხუბებოდა და შემდეგ თავს დაირწმუნებდა, რომ სრულიად მართალი იყო. არადა, სინდისი აწუხებს, არ ასვენებს და აი, იგი მიდის მოძღვართან, რომ მომხდარი უამბოს. ბერი ყურადღებით უსმენს, ზოგჯერ კვერსაც კი უკრავს. მორჩილიც ნელ-ნელა თამამდება და უკვე ყოველგვარი მორიდების გარეშე იწყებს თავის მართლებას. მაშინ მამა ლეონი აწყვეტინებს მას და ეუბნება:

– მაშ კარგი, ესე იგი შენ ხარ მართალი და ის მტყუანი. მაშასადამე, უკვე გავარკვიეთ: შენ უკვე მართლებში ხარ და ჩვენ ერთმანეთთან არავითარი საქმე აღარა გვაქვს. წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შენ უკვე ცხონდი. მე კი თავი გამანებე, იმიტომ რომ ჩემი მოვალეობაა, მთელი ძალ-ღონე და დრო ცოდვილებს მოვახმარო. წადი, წადი, შენი სიმართლიანა, ჩვენ კი, ცოდვილებს, ხელს ნუ გვიშლი.

იმისთვის, რომ საქმე გამოასწოროს და მოძღვრის კეთილგანწყობა დაიბრუნოს, ყმანვილი კიდევ უფრო მეტად იწყებს თავის მართლებას და

ცდილობს დაამტკიცოს, რომ მამა ლეონმა მას ვერ გაუგო. მაგრამ პასუხად კვლავ ესმის:

– ესე იგი შენ კიდევ უფრო მართალი ყოფილხარ. წადი, წადი, კარს იქით ხომ ცოდვილები იცდიან, შენ კი მათ ხელს უშლი.

მორჩილი მოძღვრისგან ისე გამოდის, თითქოს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდეს. მიდის თავის სენაკში, რომ დამშვიდდეს, მაგრამ პირიქით, იქ მწუხარება კიდევ უფრო მეტი ძალით განგმირავს მის გულს. იგი უკან ბრუნდება და ცდილობს აუხსნას მოძღვარს, რომ მას არ დაუმსახურებია ასეთი სულიერი ტანჯვა. მამა ლეონი ეთანხმება იმაში, რომ ის უდანაშაულოდ იტანჯება, და კვლავ აძევებს თავისი სენაკიდან. ასეთი მისვლა-მოსვლები, იმავე შედეგებით, გრძელდება მანამ, სანამ მორჩილი საკუთარ დანაშაულს არ შეიცნობს და თავის ბრალობას არ დაიწყებს. მაშინ კი მოძღვარიც იცვლება: უდრეკი მსაჯულიდან იგი ყველაზე ნაზ, შვილისმოყვარულ მშობლად გადაიქცევა.

ოპტინის უდაბნოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი მოსე, თავისი თანამოღვაწის – ბერ ლეონისაგან განსხვავებული ხასიათისა იყო და სხვა ხერხებით მოქმედებდა. მიზანი კი მასაც იგივე ჰქონდა, რაც მამა ლეონს: უსათუოდ ესწავლებინა თითოეული მონაზვნისთვის თავის ბრალობა. ერთხელაც, მონასტრის შემოვლისას, იგი იმ ძმებთან მივიდა, რომლებიც დასამწილებელ კიტრებს რეცხავდნენ და ძმათაგან უფროსს მიმართა:

– მგონი კიტრები წვრილია, არა?

– არა, მამაო, საუცხოო კიტრებია, დროულადაა დაკრეფილი, – მიუგო მონაზონმა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ისევ შეხვდა ამ ძმას, კვლავ გაუმეორა, რომ თითქოს კიტრები წვრილი იყო. მეზაღემ ისევ თავის მართლება დაიწყო და ამტკიცებდა, რომ კიტრები ძალიან კარგია. ორი კვირის მანძილზე მამა მოსე მდაბლად უმეორებდა მონაზონს თავის აზრს კიტრების შესახებ, ისე, რომ მეზაღემ წუხილი დაიწყო და ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა დალაპარაკებოდა, მივიდა მასთან და უთხრა:

– მამაო, კიტრებზე რამდენჯერმე მითხარით, რომ წვრილია, მე კი შეგეწინააღმდეგეთ, შემინდეთ ღვთის გულისათვის.

– აი, სწორედ ამას ველოდებოდი, ძმაო, – უთხრა მამა მოსემ მონაზონს, რომელმაც, როგორც იქნა, თავი დაიდანაშაულა. ამის შემდეგ კი, ისე, რომ კიტრები აღარც უხსენებია, მეზაღე დააწყნარა და მშვიდობით გაისტუმრა.

როდღონ ნიკიტას ძე პონომაროვი, ბერობაში სქიმღვედელმონაზონი ილარიონი, ოპტინის უდაბნოში მაშინ მივიდა, როცა იქ წინამძღვრად არქიმანდრიტი მოსე იყო. მან საქმით შეითვისა დიდი ოპტინელი მამების სულიერი ცხოვრების გაკვეთილები და შემდგომში თვითონ გახდა სკიტის წინამძღვარი და მონასტრის სულიერი მოძღვარი.

ღირსი ილარიონი უმცროსებს ასწავლიდა, რომ უფროსებისთვის პატივი ეცათ, შეპასუხებისთვის თავი აერიდებინათ და არავისთან მოქცეულიყვნენ კადნიერად. მოძღვარი ურჩევდა მათ, რომ უფროსებს იმ შემთხვევაშიც კი არ შენინააღმდეგებოდნენ, როცა ისინი ერთი შეხედვით უსამართლო შენიშვნებს იძლეოდნენ. ასეთ დროს ახსნა-განმარტების ნაცვლად უმჯობესია მხოლოდ ეს ვთქვათ: "შემინდე ღვთის გულისათვის". ასეთი მოქცევით ჩვენ კი არაფერი დაგვაკლდება სხვების წარმოდგენაში, პირიქით, მოგვემატება. სულის ცხოვნებისთვის უფრო სასარგებლოა საკუთარი თავი ყველაფერში დამნაშავედ და ყველაზე უკანასკნელად ვცნოთ, ვიდრე ის, რომ თავი ვიმართლოთ, რადგან თავის მართლება ამპარტავნებისაგან მოდის. "ღმერთი ამპარტავანთა შეჭმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი". უნდა შევიგნოთ, რომ თუნდაც მართლები ვიყოთ, ან არც ისე დამნაშავენი, როგორც ეს წინამძღვარს ჰგონია, – ღვთის წინაშე, ისევე როგორც ყველა ადამიანს, მაინც ბევრ ცოდვაში მიგვიძღვის ბრალი. უფალი კი მხოლოდ იმას განამართლებს, ვინც საკუთარ გულში თავს უდიდეს ცოდვილად მიიჩნევს.

როსტოვის მახლობლად მდებარე ბორისოგლების მონასტერში ცხოვრობდა ღირსი მამა ირინარხი. ზოგიერთმა უდებმა ძმამ, მხილებულმა წმინდანის კეთილი ღვაწლით, ცილი დასწამა მას წინამძღვრის, ილუმენ გერმოგენის, წინაშე და მონასტრიდან მის განდევნასაც მიაღწია.

წმინდა ირინარხი როსტოვში წავიდა, წმინდა ლაზარეს მონასტერში დასახლდა და თავისი მოღვაწეობა იქ გააგრძელა. ამასობაში ილუმენი გერმოგენი და ძმები მიხვდნენ, რომ უსამართლოდ მოიქცნენ და გადაწყვიტეს, ეთხოვათ წმინდა ირინარხისთვის, უკან, ბორისოგლების მონასტერში დაბრუნებულიყო. მათ მიერ გაგზავნილმა ძმამ მამების თხოვნა გადასცა ბერს და იგიც თავის უწინდელ ადგილს დაუბრუნდა. წმინდა ირინარხმა მონასტრიდან გაძევების მთელი ბრალი საკუთარ თავზე დაიკრიბა და მდაბლად ამბობდა:

– უფალო, ძმები მართლები არიან, ისინი მართალ ღვაწლს მოგართმევენ შენ, მე კი, ყოველგვარი სიმყრალით სავსეს, არავითარი სათნოება არ გამაჩნია.

სქიმღველმონაზონი იოსებ ოპტინელი თავისი თანამედროვეებისთვის თავის ბრალობის ცოცხალი მაგალითი იყო. მისი ერთ-ერთი მოწაფე, რომელიც დიდხანს აკვირდებოდა მას, წერდა:

"უსამართლობა და ცილისწამება, ჩვეულებრივ, აღიზიანებს ადამიანს, მაგრამ როცა ის ყურადღებით მოუსმენს თავის სინდისს და ისწავლის დანაშაულის პოვნას საკუთარ თავში, მაშინ, პირველ რიგში, უკვე განსჯის და განიკითხავს თავის თავს და ამიტომ მოყვასის მსჯავრს ისე იღებს, როგორც ღვთისაგან დამსახურებულ სასჯელს თავისი ცოდვებისთვის; მაშინ ის არათუ არ ღიზიანდება მოყვასზე, არამედ კიდევაც ჰმადლობს მას. სინდისისადმი მკაცრი ყურადღებითა და განმანათლებელი მადლის მეშვეობით ადამიანში საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ადგილს თანდათანობით თავის ბრალობა და საკუთარ თავზე

სწორი აზრი, ანუ თვითშემეცნება იკავებს; მაშინ კი ყველა უწინდელი უხეში შებრკოლება მას სულს უმძიმებს, მომდევნო შეცდომებს კი უმცირეს წვრილმანებად ამჩნევს – ისინი უშფოთებენ გაფაქიზებულ სინდისს, და აი, საბოლოოდ უკვე მიიღება გამუდმებული, გულწრფელი თავის ბრალობა ყველაფერში, რასაც საღმრთო სჯულის წინააღმდეგ ჩაიდენს”.

აუცილებელია, რომ თავს ვაყვედროთ ყველანაირ ცხოვრებისეულ ვითარებაში: განსვენების ჟამსაც და განსაცდელეებშიც; მაშინაც, როცა სამართლიანი სასჯელი მოდის და მაშინაც, როცა უდანაშაულოდ ვიტანჯებით. რასაკვირველია, ძნელია თავს ვაბრალოთ იმ დროს, როცა რაღაც უსამართლობას ვითმენთ, მაგრამ არანაკლებ ძნელია თავის ბრალობა მაშინ, როდესაც ჩვენი მოჩვენებითი თუ ნამდვილი სათნოებებისთვის გვაქებენ. თუმცა, თუკი სიამაყეს დავძლევთ, იმ შემთხვევაშიც ადვილად შევძლებთ თავის ბრალობას, როცა ცამდე აღგვამაღლებენ.

ერთხელ სქიმონაზონ პაისის, რომელიც ათონის მთის ერთ-ერთ სენაკში მოღვაწეობდა, ერთი მღვდელმონაზონი ეწვია და საუბარში სხვათა შორის უთხრა:

– მამაო, ერში თქვენ დიდი სახელი გაქვთ, ხალხს თქვენზე კარგი წარმოდგენა აქვს.

ბერმა თავი გადააქნია და მღვდელმონაზონს ჰკითხა:

– ახლა, ქვემოთ რომ ეშვებოდი, კარეაში ნაგვის ყუთებთან გაიარე?

– გავიარე, მამაო.

– ჰოდა, იქ კალმარის კონსერვის ქილები ყრია და როცა მზე ანათებს, ისე ბრწყინავენ, რომ აქედანაც კი ვხედავ. ასე ემართება იმ ხალხს, ვინც ჩემზე ლაპარაკობს. ისინი მზის ანარეკლს ხედავენ კონსერვის ქილებზე, – მე კი სწორედ ასეთი ქილა ვარ, – და ფიქრობენ, რომ ოქრო ბრწყინავს. მაგრამ როგორც კი ახლოს მივლენ, დაინახავენ, რომ ეს ოქრო კი არა, თურმე კონსერვის ძველი ქილები ყოფილა.

თავის ბრალობას ჩვენ სიმდაბლესთან მივყავართ და ყველანაირი ცხოვრებისეული უსიამოვნების დროს სულში სიმშვიდეს გვიმკვიდრებს. თავის ბრალობის სულიერი სარგებელი აშკარაა. ამ სათნოების მოსაპოვებლად ჩვენ ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში განუწყვეტლივ, ხმამაღლა ან გულში, – იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარებაა, – თავი უნდა განვიკითხოთ. თავიდან, ხშირ შემთხვევაში, ეს სულიერი ქმედება თითქმის მექანიკურად მიმდინარეობს, გულის სათანადო განწყობის გარეშე. მაგრამ დროთა განმავლობაში, თუკი ჩვენ ბეჯითად გავაგრძელებთ ვარჯიშს თავის განკითხვაში, გული გონებას შეუერთდება და შობს ჭეშმარიტ თავის ბრალობას, რომელიც ჩვენი ხასიათის განუყრელ თვისებად იქცევა.

თავის ბრალობის მოპოვების მცდელობასთან ერთად, ჩვენ უნდა ვისწრაფოთ ამ სათნოების სრულყოფისაკენ. რას ნიშნავს ეს? პეტრე დამასკელის

სიტყვებით, "ჭეშმარიტად თავმდაბალი არასოდეს წყვეტს თავის ბრალობას, თუნდაც მთელი ქვეყანა ესხმოდეს თავს და შეურაცხყოფდეს". თავმდაბალ ქრისტიანს უყვარს, როცა მას ადამიანები ამდაბლებენ, იმიტომ რომ ეს ჰარმონიულად ავსებს მისი თავის ბრალობის შინაგან ღვანლს.

დასასრულ, მესამე ნაწილის შინაარსიდან გავაკეთოთ დასკვნები:

იმისთვის, რომ მოვიპოვოთ თავმდაბლური დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, აუცილებელია შინაგანად მათ წინაშე თავის დამდაბლება. საამისოდ ჩვენ გვესაჭიროება:

– საკუთარი თავი მივიჩნიოთ სხვებზე უფრო ცოდვილებად, უღირსებად და სულიერად სუსტებად;

– ყველა ცხოვრებისეულ შემთხვევაში თავი დავაყენოთ მოყვასზე დაბლა და არ ვეძიოთ არანაირი უპირატესობა მათ წინაშე;

– შევიცნოთ საკუთარი ცოდვები და სისუსტეები, და არ მივაქციოთ ყურადღება სხვების ნაკლს;

– ყოველ ადამიანში დავინახოთ ღვთის მშვენიერი ქმნილება.

– როცა ადამიანები რაიმე უსიამოვნებას შეგვამთხვევენ, აუცილებელია, ყოველთვის ვისწრაფოთ თავის ბრალობისკენ, რაც ცხოვრებისეული განსაცდელების ჟამს განამტკიცებს ჩვენში თავმდაბლობას.

თავის ბრალობის დროს გვესაჭიროება:

– მივენდოთ ღვთის ნებას;

– ჩვენზე მოწვეული მწუხარებების მიზეზები ვეძიოთ მხოლოდ საკუთარ თავში და არა სხვა ადამიანების მოქმედებებში; გავაცნობიეროთ, რომ ცხოვრებისეული განსაცდელები ერთდროულად სასჯელიცაა ჩვენი ცოდვებისათვის, და ჩვენი ნაკლოვანებების გამოსასწორებელი საშუალებაც;

– მივიჩნიოთ საკუთარი თავი არა მარტო მოწვეული განსაცდელების ღირსად, არამედ, ჩვენი ცოდვებისთვის, კიდევ უფრო მეტი მწუხარებების ღირსადაც.

ნაწილი 4

გარეგნული დამდაბლება

იმის შემდეგ, რაც თავმდაბლურ აზროვნებას შევიძინეთ და ვისწავლით თავმდაბლად მოქცევას, აუცილებელია, გავიაროთ ყველაზე საპასუხისმგებლო საფეხური სიმდაბლის მოპოვების გზაზე: ესაა ადამიანთა წინაშე გარეგნული დამდაბლება. სწორედ ამ საფეხურზე გამოიცდება და მტკიცდება ჩვენი თავმდაბლობა.

ერთხელ ცნობილმა ღვთისმეტყველმა, დეკანოზმა ვალენტინ სვენციციკიმ, სერგი ფუდელთან საუბარში თქვა:

– აი, ჩვენ ვასწავლით სიყვარულზე, სიმდაბლეზე, მაგრამ ვინმემ ავტობუსში შემთხვევით ფეხი რომ დაგვადგას, უკვე გვძულს ის ადამიანი.

შეიძლება განუწყვეტლივ ვიფიქროთ ღვთის წინაშე საკუთარ არარაობაზე, გამოვიყურებოდეთ თავმდაბლურად და შეგვეძლოს ხალხთან თავმდაბლური საუბარი, მაგრამ ამავე დროს ძალზე შორს ვიყოთ ჭეშმარიტი სიმდაბლისაგან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული განსაცდელების გრდემლზე იჭედება. ეს იცოდნენ წმინდა მოღვაწეებმა და ამიტომაც მრავალი მათგანი ცდილობდა გამოენართო თავი შეურაცხყოფის, ცილისწამებისა და დევნა-შევიწროების ქურაში.

მოსკოველმა მიტროპოლიტმა ფილიპემ, რომელიც თავად კოლიჩეების წარჩინებულ გვარს მიეკუთვნებოდა, 30 წლის ასაკში მიატოვა სამსახური მეფის კარზე და ფარულად სოლოვეცის მონასტერში წავიდა. აქ მომავალმა მღვდელმთავარმა დამალა თავისი წარმომავლობა და წოდება, და გულის უბრალოებით დაუზარლად ასრულებდა ყველაფერს, რასაც კი უბრძანებდნენ. იგი ჩეხავდა შეშას, ბარავდა მინას, ეზიდებოდა ქვებს, ნაგავსაც ყრიდა. ხშირად ზოგიერთი ძმა შეურაცხყოფდა და სცემდა, მაგრამ ბერი ფილიპე არასოდეს მრისხანებდა და სიხარულით ითმენდა ყველანაირ გაჭირვებას. როდესაც მას იღუმენმა მორჩილება სამზარეულოში მისცა, ფილიპე თავმდაბლობით ემსახურებოდა ძმებს, ანთებდა ცეცხლს და ჩეხავდა შეშას.

"ვინც ჭეშმარიტად თავმდაბალია, – წერს ღირსი მამა ისააკ ასური, – ის კიდევაც რომ გაანაწყენონ, არ აღშფოთდება და არაფერს იტყვის თავის დასაცავად; ცილისწამებას ისე იღებს, როგორც სიმართლეს და იმას კი არ ცდილობს, სხვები დაარწმუნოს, რომ ცილი დასწამეს, არამედ ითხოვს შენდობას. შენ ფიქრობ საკუთარ თავზე, რომ შენში არის სიმდაბლე. მაგრამ სხვები თვითონ იდანაშაულებდნენ თავს, შენ კი ის ვერ აგიტანია, რომ გადანაშაულებენ, და საკუთარი თავი მდაბლად მიგაჩნია. თუ გსურს შეიტყო, ხარ თუ არა თავმდაბალი, გამოსცადე შენი თავი: ხომ არ აღშფოთდები, როცა შეურაცხგყოფენ?"

ზოგიერთი წმინდანი, სიმდაბლეში განუწყვეტელი სრულყოფისათვის, ცდილობდა, თავის სიახლოვეს ყოველთვის ჰყოლოდა ისეთი ადამიანი, ვინც მას შეურაცხყოფდა.

წმინდა სერაფიმე საროველის მემკვიდრის, დივეევოს მონასტრის სულიერი დედის – ღირსი პელაგია ივანოვნას – მომვლელად დადგინებული იყო ძალზე მკაცრი ხასიათის მორჩილი – მატრონა. სალოსობის ღვანლის მტვირთველი პელაგია ივანოვნა დივეევოში თავისი ცხოვრების პირველ წლებში მეტად მოუსვენრად იქცეოდა: თავს ისულებებდა, მონასტრის ეზოში დარბოდა და ფანჯრებს ქვებს ესროდა. ამის გამო მატრონა მას ისე მწარედ სცემდა, რომ ბოლოს და ბოლოს დებმა ამას ველარ გაუძლეს და იღუმენიას სთხოვეს, მატ-

რონა ნეტარი დედისაგან ჩამოეშორებინა. პელაგია ივანოვნას მომვლელად კეთილი და მშვიდი გოგონა, ბარბარე, დანიშნეს. მაგრამ ასეთი ცვლილება ღირს დედას არ მოეწონა: მას ხომ ამით გარეგნული დამდაბლება წაართვეს! იგი ყველანაირად ეცადა თავი დაეღწია მშვიდი ბარბარესაგან და ბოლოს და ბოლოს მოახერხა კიდევ.

რალა თქმა უნდა, მათთვის, ვინც ძლივძლიობით ითმენს წვრილმან წყენას, თითქმის შეუძლებელია იმის გაგება, თუ საიდან იკრეფდნენ ძალებს თავიანთი ღვანლისთვის პელაგია დივეეველის მსგავსი წმინდანები. ამ საიდუმლოს ერთ-ერთი იმ მდაბალი ბერის მონათხრობი ხდის ფარდას, რომელიც ერთხელ დაისაჯა და უპატიო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სირცხვილის დათმენისას "უეცრად მთელს სხეულში, – იგონებს ბერი, – მხურვალეობა და რალაც ენით გამოუთქმელი გახვევა ვიგრძენი, რის შემდეგაც გულში ამენტო სურვილი, რომ ჩემი ცოდვებისთვის მოედანზე, სახალხოდ, ჯალათისგან შეურაცხყოფა და ყვრიმლისცემა მიმელო. ამასთანავე, სახე ამელენა, უზომო სიხარულმა და სიტკბოებამ მომიცვა, რის გამოც ორი კვირა აღტაცებულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი. და მაშინ მივხვდი მთელი სიცხადითა და სიზუსტით, რომ მოწამეების წმინდა სიმდაბლე ღვთაებრივ სიყვარულთან შეერთებისას ვერ კმაყოფილდებოდა ვერანაირი სატანჯველით. მოწამეები სასტიკ ტანჯვა-წამებას ისე ღებულობდნენ, როგორც ჯილდოებს, როგორც გრილ სასმელს, მათში აღგზნებულ თავმდაბლობის წყურვილს რომ აცხრობდა. სიმდაბლე ღვთის გამოუკვლეველი მადლია, მიუწვდომლად მისაწვდომი სულის მხოლოოდენ სულიერი შეგრძნებით".

წმინდანებში გარეგნული დამცირების წყურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი ამ დამცირებებს ამასოფლის ყოველგვარ სიხარულსა და საშვებელს ამჯობინებდნენ.

ერთხელ პერეიასლავის ეპისკოპოსი სილვესტრი თავად პოტიომკინს უამბობდა მღვდელმონაზონ კლეოპას მაღალი სულიერი ცხოვრების შესახებ. უგანათლებულესმა თავადმა მისი ნახვა მოისურვა და მაშინვე გაუგზავნა თავისი კარეტა. ცოტა ხანში წმინდა მამასა და სახელოვან დიდებულს შორის საუბარი გაიმართა. პოტიომკინს კლეოპა ძლიერ მოეწონა. მას უნდოდა დედოფლისთვისაც წარედგინა ბერი, მაგრამ კლეოპამ საკუთარი თავისთვის უმჯობესად მიიჩნია, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო მონასტერში. გზად მას ჯარისკაცი დაესხა თავს და სასტიკად სცემა. ამას კლეოპას ნაცნობი ოფიცერი შეესწრო და უნდოდა დაესაჯა ჯარისკაცი, მაგრამ წმინდა მამა შეევედრა:

– ხელს ნუ ახლებთ ჯარისკაცს – ღმერთმა ბრძანა! კლეოპა, ნუ ქედმაღლობ! კარეტი იმგზავრე! სასახლეში იყავი!

მამა კლეოპა გამოცდილი მოძღვარი იყო და ყურადღებით ადევნებდა თვალს თავისი მონასტრის მკვიდრთა სულიერ მდგომარეობას. იგი ყველანაირად ეხმარებოდა მათ თავიანთი შინაგანი სირთულეების დაძლევაში. ერთხელაც ერთ-

ერთმა მორჩილმა განაცხადა, რომ სასწაულებრივი ხილვის ღირსი შეიქმნა. მამა კლეოპამ ძმებს დაავალა, გაეღიანებინათ იგი. მორჩილმა ლანძღვა ვერ აიტანა, აღშფოთდა, მოძღვართან მივიდა და უთხრა:

– სიცოცხლე აღარ შემიძლია: სულ შეურაცხყოფას მაყენებენ!

– მაშ როგორღა ამბობ, ხილვის ღირსი გავხდიო, თუკი მოთმენა არ შეგიძლია? – ჰკითხა მამა კლეოპამ. – შენ, ძმაო, ეტყობა, ხიბლში ხარ. თავის ქვაზე დადება, მარხვა, შიშველ მინაზე წოლა – ეს ფუჭია. "ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა", – თქვა უფალმა; სასწაულები და ხილვები კი სულაც არაა აუცილებელი.

ამგვარადვე განსწავლიდა სქიმღვედელმონაზონი ლეონ ოპტინელი თავის მოწაფეებს, რომლებიც ზოგჯერ აღტაცებულ მეოცნებეობას ეძლეოდნენ.

ოპტინაში ერთი ძმა იყო, რომელიც ხშირად აბეზრებდა თავს მამა ლეონს თხოვნით, ნება დაერთო მისთვის, რომ ჯაჭვები ეტარებინა. მოძღვარი, რომელმაც საკუთარი ხელით მოხსნა ჯაჭვები თავის ბევრ სულიერ შვილს, დიდხანს უხსნიდა ძმას, რომ ჯაჭვები ვერ აცხოვნებდა. ბოლოს გადანყვიტა განესწავლა იგი, მონასტრის მჭედელი იხმო და ასე დაარიგა:

– როცა შენთან ესა და ეს ძმა მოვა და ჯაჭვების გაკეთებას გთხოვს, ერთი კარგი სილა გააწვინა.

ცოტა ხანში ის ძმა ისევ შეუჩნდა მამა ლეონს და მანაც უპასუხა:

– ჰო, კარგი, წადი მჭედელთან, სთხოვე ჯაჭვები გაგიკეთოს.

ძმამ სიხარულით მიირბინა სამჭედლოში და მჭედელს უთხრა:

– მოძღვარმა გაკურთხა, რომ ჯაჭვები გამიკეთო.

– რაო, რა ჯაჭვები მოგინდა? – ჩაილაპარაკა საქმეში გართულმა მჭედელმა და მოულოდნელად მეოცნებეს თავისი ძლიერი ხელით სილა გააწვინა. ძმა საქმის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა, წყენას ვერ გაუძლო და მჭედელს საპასუხო სილა დაუბრუნა, რის შემდეგაც ორივენი მოძღვრის სამსჯავროსკენ გაემართნენ. მჭედელს, რასაკვირველია, მაშინვე ეპატია. ჯაჭვების ტარების მსურველ ძმას კი მამა ლეონმა უთხრა:

– რას ეპოტინები, რომელ ჯაჭვებს, როცა ერთი სილაც კი ვერ აგიტანია!

ბერები თავიანთი მორჩილების გარეგნული დამდაბლებით იმას ესწრაფოდნენ, რომ მათთვის დაცემული ადამიანური ბუნების მთელი ხრწნილება დაენახებინათ. ისინი მათ საქმით აჩვენებდნენ ნებელობის სისუსტეს, გონების შეზღუდულობასა და გულის ვნებიანობას. მამები მიზნად ისახავდნენ, დაერწმუნებინათ თავიანთი შვილები, ნაადრევად არ შესდგომოდნენ ისეთ სულიერ ღვანლს, მათს ძალებს რომ აღემატებოდა, არამედ გულმოდგინედ შეესრულებინათ უბრალო სახარებისეული მცნებები. მათ კარგად უწყოდნენ, რომ მაღალ სულიერ ღვანლში მოჩვენებით წარმატებებს შეეძლოთ მათი მოწაფეების ჯერ კიდევ განუმტკიცებელი სულები სიამაყეში ჩაეგდოთ, მაშინ როცა ქრისტეს მცნებების გზით სვლა მათ უეჭველად სიმდაბლემდე მიიყვანდა. ნეტარ არიან

ისინი, ვინც ითვისებს მამების გაკვეთილებს! თუმცა ყოველთვის არსებობენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთი სიამაყის გამო არ იღებენ მამების ამ სწავლებას.

ოპტინის უდაბნოს სკიტში 25 წელი მოღვაწეობდა მორჩილი სტეფანე, რომელიც წარმომავლობით კურსკელი ვაჭრების მდიდარი გვარიდან იყო. ერში მას საკმაო სიმდიდრე და დიდი ორსართულიანი სახლი ჰქონდა. მონასტერში ჯერ კიდევ ჭაბუკი მივიდა და თავისი მორჩილების მრავალი წლის მანძილზე ძმებისგანაც დაიმსახურა პატივისცემა და ბერ ამბროსისაც დაუახლოვდა. სტეფანეს კითხვა უყვარდა და განსაკუთრებულად იყო გატაცებული წმინდა იოანე ოქროპირის თხზულებების შესწავლით. წმინდანის ნაწერებიდან მან გამონათქვამთა კრებული შეადგინა და წინამძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე საკუთარი ხარჯებით გამოსცა. ეს, რა თქმა უნდა, მორჩილის მხრიდან ოპტინური წესების დარღვევა იყო, რადგან ძმებს სიმდაბლის მოსაპოვებლად ყველაფერში საკუთარი ნების მოკვეთა და მოძღვრებისადმი სრული მორჩილება ევალებოდათ. ამიტომ სტეფანეს თვითნებური საქციელი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ისააკმა, მორჩილი დაიბარა, ახლადგამოცემულ წიგნზე მიუთითა და ჰკითხა:

– ვისია ეს?

– ჩემი.

– შენ სად ცხოვრობ?

– სკიტში.

– ვიცი, რომ სკიტში, მაგრამ ვისი კურთხევით დაბეჭდე?

– მე თვითონ დავბეჭდე, – უპასუხა სტეფანემ.

– მაშ, რადგან "შენ თვითონ", ამ წიგნის კვალი არ დავინახო მონასტერში. გასაგებია? წადი! – მკაცრად უთხრა მამა ისააკმა.

სტეფანე ისე განარისხა წინამძღვრის საყვედურმა, რომ მოძღვარსაც კი არ უთხრა

თავისი წყენის შესახებ. როცა მისი აღკვეცის საკითხი დადგა, მონასტრის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ამ თვითნებობისთვის სტეფანეს აღკვეცა გადაედოთ. მაგრამ ვერც ამან მოიყვანა გონს მორჩილი. ის კიდევ უფრო განაწყენდა, არაფრად ჩააგდო თავისი ოცდახუთწლიანი მოღვაწეობა და მონასტერი დატოვა. სტეფანე სამშობლოში დაბრუნდა და თავის დიდ სახლში დამკვიდრდა, სადაც 5 წელიწადში კიდევ გარდაიცვალა.

ეს მაგალითი ცხადად მეტყველებს იმ ჭეშმარიტებაზე, რომ როდესაც შეურაცხყოფას გვაყენებენ, მისი მოქმედება ჩვენში თვით შეურაცხყოფის ხასიათზე კი არ არის დამოკიდებული, ან კიდევ შეურაცხმყოფელის გულისწყრომის ხარისხზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე. მიაქციეთ ყურადღება: არქიმანდრიტ ისააკს სრულებითაც არ შეურაცხუყვია სტე-

ფანე, მან მხოლოდ მკაცრად უსაყვედურა მისივე კეთილდღეობისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელის საპასუხო მოქმედება სულაც არ იყო მორჩილის შესაფერისი.

თუკი ჩვენ გარეგნული დამდაბლების დროს მოთმინებას ვკარგავთ, ამით საკუთარ სულიერ უძლურებას ვამჟღავნებთ. იმ წუთებში ჩვენი გულიდან მის სიღრმეებში დამალული ამპარტავნება ამოტივტივდება. თუ ჩვენ გულწრფელად მივიჩნევთ თავს ყველაზე ცოდვილებად და ღვთის უხმარ მონებად, მაშინ დევნა-შევიწროება და დამცირებები ვერ შეძლებენ ჩვენს დამნუხრებას; პირიქით, მათ ჩვენთვის სიხარული მოაქვთ, რადგან სწორედ მათი მეშვეობით ვინმინდებით ცოდვებისაგან და ვასწორებთ ჩვენს ნაკლოვანებებს.

"რომელსა სძულს შეურაცხებაჲ, მას სძულს სიმდაბლე"

აბბა დოროთე წერდა: "გინებაჲ და ყუედრებაჲ გიჩნდინ ვითარცა წამალი ძლიერი და განმნმედელი შენდა ცოდვათა და ვნებათა შენთაგან, და უფროესად ვნებისა მაგის დიდისაგან და ბოროტისა, რომელ არს ამპარტავანებაჲ. გიყუარდინ და ულოცევდი მაგინებელთა შენთა, ვითარცა მკურნალთა სულისა შენისათა.

ხოლო ესე უწყოდეთ, ვითარმედ: რომელსა სძულს გინებაჲ, ყუედრებაჲ, მხილებაჲ და შეურაცხებაჲ, მას სძულს სიმდაბლე, და რომელი ივლტის მათგან, იგი ივლტის ცხორებისაგან სულისა თვისისა".

ძვირფასი სწავლებაა. თუკი ამ სიტყვებს ყურს მივაპყრობთ, ჩვენი ყველა მტერი, შეურაცხმყოფელი თუ მამხილებელი ჩვენთვის საუკეთესო მეგობრად იქცევა. მაგრამ სამნუხარო ისაა, რომ როდესაც ჩვენ წყენას ვითმენთ, ხშირად გულის სიღრმეში მაინც გვაქვს მტრობა მანყინართა მიმართ. წმინდა მამებმა ძალზე კარგად იცოდნენ დაცემული ადამიანური ბუნების ხასიათი და ამიტომ ყოველთვის ფრთხილად და ბრძნულად ამდაბლებდნენ თავიანთ სულიერ შვილებს.

ერთხელ ღირსი სებასტიანე ყარაგანდელი ადამიანების ხასიათზე საუბრობდა და თქვა:

– აი, ამ ხალხის შეხება არ შეიძლება, ისინი თავიანთი სიამაყის გამო ვერ აიტანენ ვერც შენიშვნას, ვერც საყვედურს; სხვებისა კი, მათი სიმდაბლის გამო, – შეიძლება.

ზოგჯერ ბერი ყველას წინაშე კიცხავდა ხოლმე თავის რომელიმე თავმდაბალ მონაფეს, რათა ამით ისინი განესწავლა, ვისი შეცდომებისა თუ ნაკლის პირდაპირ წარმოჩენაც არ შეიძლებოდა. ასეთებს ის არც თავად ამხილებდა და არც სხვებს აძლევდა ამის უფლებას, არამედ ელოდა, ითმენდა და

ლოცულობდა, სანამ ადამიანი თვითონ არ მიიქცეოდა სინანულით ღმრთისა და სულიერი მამისაკენ.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მამა სებასტიანე უფროსებისგან მოითხოვდა, შენდობა ეთხოვათ უმცროსებისთვის, ან განაწყენებულებს ამდაბლებდა, გამანაწყენებლებს კი იცავდა. მის გამოცდილ მოწაფეებს ახარებდათ სიმდაბლის ეს გაკვეთილები და კარგად ესმოდათ, რომ მოძღვრის ყოველ მოქმედებაში სულიერი სიბრძნე იყო დაფარული.

"ვისაც ძალუძს სიხარულით დაითმინოს შეურაცხყოფა, – წერს წმინდა ისააკ ასური, – მაშინაც კი, როცა ხელენიფება ამ შეურაცხყოფის თავიდან აცილება, მას ღმრთისაგან მიუღია ნუგეში რწმენისაებრ მისისა. და ვინც თავმდაბლობით ითმენს მისდამი წაყენებულ ბრალდებებს, მას სრულყოფილებისთვის მიუღწევია, და იგი განაკვირვებს წმინდა ანგელოზებს, რამეთუ არ არსებობს სხვა სათნოება, ესოდენ მაღალი და სრული".

მამებმა ეს კარგად უწყოდნენ და თავიანთი სულით ძლიერი მოწაფეები დაამდაბლების გზით სრულყოფილებისკენ მიჰყავდათ, უფრო სუსტებს კი უფროთხილდებოდნენ.

ბელგოროდელ მოძღვარს, სქიარქიმანდრიტ გრიგოლს, თავისი სულიერი შვილებისთვის სიმდაბლის გაკვეთილების ჩატარება უყვარდა. ზოგჯერ საჯაროდ გალანძღავდა ვინმეს იმ ცოდვებისთვის, რაც მას არ ჩაედინა, და აკვირდებოდა მის საპასუხო მოქმედებას – ეწყინა თუ არა? იგი ასე მოძღვრავდა მათ: "სიმდაბლე ყველა სათნოების დედაა. ცარიელი თავთავი აქეთ-იქით ქანაობს, ხოლო როცა მარცვლით აივსება, თავს ხრის და უკვე ქარიც აღარ ამინებს. ასევეა კაციც: თავქარიანი აქეთ-იქით დაყიალებს, თავმდაბალს კი არანაირი განსაცდელი არ ვნებს". ბევრი მათგანი, ვინც მამა გრიგოლის სკოლა გაიარა, შემდგომში ილუმენები, არქიმანდრიტები და ეპისკოპოსები გახდნენ.

თუ ჩვენ გვსურს მოვიპოვოთ სიმდაბლე, განუწყვეტლივ უნდა ვევედროთ ღმერთს, რომ შეგვეწიოს. ამასთან, აუცილებელია, გვახსოვდეს აბბა დოროთეს დარიგება: "ყოველსა მვედრებელსა ღმრთისა მიმართ: "უფალო, მომეც მე სიმდაბლე!" – თანააძს ცოდნად, რამეთუ სთხოვს იგი ღმერთსა, ვითარმცა მოუვლინა მან შემანუხებელი ვინმე. და ესრეთ ოდეს ვინ შეანუხებდეს მას, თვით თავით თვისით შუენის წყინებად თავისა თვისისა და შეურაცხყოფად მას გულსა შინა თვისსა, რაჟთა ოდეს სხუაჲ დაამდაბლებდეს მას გარეგან, მას ჟამსა მან თვით დაიმდაბლოს თავი თვისი შინაგან". გარეგნული დამდაბლებისა და შინაგანი თავის ბრალობის ამგვარი შეერთების მაგალითი შეგვიძლია ვნახოთ ღირსი მაკარი ოპტინელის ცხოვრების აღწერაში.

ერთხელ ოპტინის უდაბნოს წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მოსემ, სქიმღვდელმონაზონ მაკარის სთხოვა ახლადაკვეცილი მონაზვნებისთვის სულიერი ხელმძღვანელობა გაეწია. მამა მაკარიმ წინამძღვრის თხოვნა ისე მიიღო, როგორც ბრძანება და პასუხად ილუმენს თაყვანი სცა. ამის შემდეგ იგი თავის

მოძღვართან – სქიმღვდელმონაზონ ლეონთან – მივიდა, რომელსაც, ჩვეულებ-
ისამებრ, უამრავი სულიერი შვილი ეხვია გარს, და მოკლედ უამბო წინამძღვარ-
თან საუბრის შესახებ.

– და მერე, რა, დათანხმდი? – განზრახ სიმკაცრით ჰკითხა მას მამა ლეონმა.

– დიახ, თითქმის დავთანხმდი; უკეთ რომ ვთქვა, უარი ვერ გავუბედე, –
უპასუხა მამა მაკარიმ.

– ჰო, ეს ახასიათებს შენს სიამაყეს, – თქვა მამა ლეონმა, შემდეგ კი მრისხანე
სახე მიიღო და ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიწყო თავისი სახელოვანი
სულიერი შვილის ყვედრება.

მამა მაკარიმ თავჩაქინდრული იდგა, მდაბლად უკრავდა თავს მოძღვარს და
დროდადრო იმეორებდა:

– დამნაშავე ვარ, ღვთის გულისათვის შემინდეთ, მამაო!

ყველა იქ მყოფი ერთხანს კეთილკრძალული გაცხებით ადევნებდა
თვალყურს, თუ როგორ ამდაბლებდა ერთი დიდი ბერი მეორე, არანაკლებ დიდ
ბერს. როცა მამა ლეონი გაჩუმდა, მამა მაკარიმ მას დაუჩოქა და მდაბლად წარ-
მოთქვა:

– შემინდეთ, მამაო! მაკურთხებთ, უარი ვთქვა?

– რაო? უარი? შენ თვითონ გამოითხოვე და ახლა უარი? არა, არა, უკვე აღარ
შეიძლება უარის თქმა, საქმე დამთავრებულია, – თქვა მამა ლეონმა, რომელსაც
არც კი უფიქრია, ახალგაზრდა მონაზვნები გამოცდილი ხელმძღვანელის გარე-
შე დაეტოვებინა. მან მხოლოდ და მხოლოდ ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებ-
ლა, რომ თავისი სულიერი შვილებისთვის ჭეშმარიტი თავმდაბლობის მა-
გალითი ეჩვენებინა.

როგორ მივიღოთ დამცირება უმცროსებისა და ხელქვეითებისაგან?

სხვებში სიმდაბლეს რომ აღზრდიდნენ, წმინდანები შემთხვევას არ უშვებ-
დნენ ხელიდან, რათა საკუთარი სრულყოფილებისთვისაც ეზრუნათ და შეუ-
რაცხყოფა დაეთმინათ თავიანთი მორჩილებისა და მონაფეებისგან.

ერთხელ მთელს რუსეთში ცნობილი მოძღვარი, სქიმღვდელმონაზონი
ალექსი, წმინდა ზოსიმეს უდაბნოში ჩამოსულ სასულიერო აკადემიის
სტუდენტს ესაუბრებოდა. მისმა მორჩილმა, მამა მაკარიმ, სამოვარი განწმინდა,
წყლით აავსო, ცეცხლზე შემოდგა და თქვა:

– მე წყალზე წავალ, თქვენ კი, მამაო, ყურადღება მიაქციეთ სამოვარს, რომ
წყალი არ გადმოვიდეს.

სტუდენტთან საუბარში გართულ მამა ალექსის სულ გადაავინწყდა სამოვარი,
რომლიდანაც ძლიერი დუღილის გამო წყალი იღვრებოდა. მამა მაკარიმ რომ
დაბრუნდა, მოძღვარს უსაყვედურა:

– მამაო, ამის გაკეთებაც ვერ შეძელით! ყველაფერი წყალში ჩამიყარეთ. არა-
და, ნახევარი დღე ვნმენდდი სამოვარს!

მორჩილის საყვედური რომ მოისმინა, მამა ალექსი ფეხებში ჩაუვარდა მას და
შენდობა სთხოვა:

– შემინდეთ, მამა მაკარი, ცუდად მოვიქეცი.

სახელგანთქმული მოძღვრის სინანულის მიუხედავად მამა მაკარი კიდევ
დიდხანს ბუზღუნებდა.

როდესაც ჩვენ ყურადღებითა და პატივისცემით ვეპყრობით ჩვენს თანას-
წორებს, ან საზოგადოებაში ჩვენზე მაღლა მდგომ პირებს, ამას სიმდაბლის
გამო კი არ ვაკეთებთ, არამედ, უფრო მეტად, მოვალეობის მოხდის მიზნით.
ჭეშმარიტი თავმდაბლობა მაშინ მჟღავნდება, როცა ჩვენ, წმინდა იოანე
ოქროპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ვუთმობთ მათ, ვინც ერთი შეხედვით
ჩვენზე დაბლაა და უპირატესობას ვანიჭებთ იმათ, ვინც ჩვენზე უარესად
ითვლება. თუმცა, თუკი გონივრულობას გამოვიჩინოთ, არც არავის ჩავთვლით
ჩვენზე დაბლა მდგომად, არამედ ყველა ადამიანს საკუთარ თავთან შედარებით
უპირატესად მივიჩნევთ. რამეთუ სიმდაბლე სწორედ ესაა: როცა ადამიანს შეუ-
ძლია რაღაცით თავი აღიმადლოს, ის კი თავს იმდაბლებს, იმცირებს და მოკრ-
ძალებულად იქცევა. სწორედ მაშინ ადის იგი ჭეშმარიტ სიმაღლეზე, აღთქმისა-
ებრ უფლისა, რომელიც ბრძანებს: "რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი
ამაღლდეს".

ერთხელ ილუმენ ალაპიტეს კიევი-პეჩორის ლავრის წმინდა სამების ტაძარში
ერთობლივი მსახურების ჩატარება დაევალა. დათქმულ დროს იგი თავის თა-
ნამწირველებთან ერთად ტაძარში მივიდა, მაგრამ ერთი ღვთისმსახური რაღაც
მიზეზის გამო არ გამოცხადდა. ეს იყო მღვდელმონაზონი, რომლის სულიერი
ხელმძღვანელიც აღკვეცის შემდეგ ერთხანს მამა ალაპიტე იყო. ახლა მას
მონასტრის გამგეობაში ერთ-ერთი თანამდებობა ეკავა. მამები მღვდელ-
მონაზონს აღარ დაელოდნენ და მსახურება მის გარეშე დაიწყეს. ცოტა ხანში
ისიც გამოჩნდა და ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რომ არ დაუცადეს.
ამასთან, ილუმენ ალაპიტეს მან საკმაოდ უხეშად უსაყვედურა. მღვდელ-
მონაზვნის მრისხანება რომ დაინახა, ილუმენი ოდნავადაც არ შესწინააღმდე-
გებია, დაუჩოქა და მდაბლად სთხოვა შენდობა.

მამა ალაპიტემ იმიტომ შეძლო იოლად აეტანა მღვდელმონაზვნის კადნიერი
საქციელი, რომ, მიუხედავად თავისი ხარისხისა, დამსახურებისა და ასაკისა,
სინამდვილეში მას მიიჩნევდა საკუთარ თავზე ყოველმხრივ უკეთესად. თუკი
ჩვენ არა მარტო აზრით, არამედ მთელი ჩვენი არსებით ვირწმუნებთ, რომ სხვა
ადამიანები ჩვენზე უკეთესები არიან, მაშინ არასოდეს დავრჩებით შეუ-
რაცხყოფილი მათგან მოყენებული წყენისაგან. ჩვენ მათში, უპირველეს
ყოვლისა, ღვთის ხატებასა და მსგავსებას დავინახავთ და აღარ შევადარებთ
ერთმანეთს ჩვენსა და მათს მდგომარეობას საზოგადოებაში.

XIX საუკუნეში ათონის მთაზე მოღვაწეობდა მღვდელმონაზონი ანიკიტე, ერში თავადი შირინსკი-შახმატოვი. მან დატოვა თავისი ძველი გვარის დიდება და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა, რუსეთიდან წამოვიდა და ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე იღვწოდა სულის ხსნისათვის. ერთხელაც, წმინდა ადგილების მოლოცვისას, ზღვაზე მოგზაურობის დროს, მამა ანიკიტემ გადამწყვიტა ღამე პატმოსის კუნძულზე მდებარე მონასტერში გაეთია. გემიდან რომ ჩადიოდა, თავის მორჩილ ნიკიტას სთხოვა, დილით ადრიანად მიეტანა მისთვის მაღამო. ნიკიტა გემზე რჩებოდა. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ დილით ნიკიტა არ გამოჩენილა. შუადღეც მოახლოვდა და ყოფილი თავადი საგონებელში ჩავარდა: ვერ მიმხვდარიყო, რატომ იგვიანებდა მორჩილი. კარგახნის შემდეგ, როგორც იქნა, ნიკიტა გამოცხადდა. მაღამო რომ გამოართვა, ბერმა ანიკიტემ უთხრა:

– როგორ არ გეშინია ღვთისა, ძმაო: მე ხომ გითხარი მაღამო გამთენიისას მომიტანე-მეთქი და შენ კი როდის მოდიხარ?

– შენს გულს ვერაფრით მოიგებ! – გაცხარებით წამოიძახა მორჩილმა, მაგრამ მეტი ველარაფრის თქმა მოასწრო, რადგან მამა ანიკიტე მას ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა:

– ღვთის გულისათვის შემინდე, ძმაო, რომ განყენინე!

მოძღვრის თავმდაბლობამ ნიკიტა გულის სიღრმემდე შეძრა და თვითონაც ძირს დაემხო. ამის შემყურე კიდევ ერთი მორჩილი, მომავალი სქემოსანი გერონტი, შემდგომში იგონებდა, რომ მომხდარმა ისე აუჩუყა გული, მანაც მაშინვე დაუჩოქა მამა ანიკიტეს; თანაც ცრემლები ღვარად სდიოდა თვალებიდან და ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ტიროდა ბავშვივით, ან რატომ იყო განრთხმული მოძღვრის ფერხთით.

ქრისტიანი, რომელიც საკუთარ გულს დაამდაბლებს, უკვე აღარაფრად აგდება თავის მდგომარეობას სხვა ადამიანებს შორის და ყურადღებას აღარ აქცევს მათს უხეშობას, თავდასხმებს, შეურაცხყოფასა და ცილისწამებებს. იგი მხოლოდ თავის თავს ხედავს და, შეძრწუნებული საკუთარი არარაობით, ცდილობს როგორმე გამოსწორდეს.

ნებსითი თავის დამდაბლება ხალხის წინაშე

სიმდაბლის მოპოვების გზაზე ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შევჩერდეთ, რადგან ნებისმიერი შეჩერება ნიშნავს უკან დახევას. თავმდაბლობაში წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მუდმივი წინსვლით. მაგრამ თუ ჩვენ არ შეურაცხგვყოფენ, არ გვაავიწროვებენ და ცილსაც არავინ გვწამებს, საკუთარი თავის მარტოოდენ აზრით დამდაბლება უხვ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

რა უნდა ვქნათ მაშინ, როცა ჩვენს ცხოვრებაში არასაკმარისადაა გარეგნული საბაზი თავის დამდაბლებისთვის?

რასაკვირველია, ასეთ დროს არ შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ აღვძრათ მოყვასი ჩვენს საწინააღმდეგოდ. ეს ნიშნავს, რომ მას ცოდვისკენ ვუბიძგოთ. უმჯობესია, როცა გარეგნული დამდაბლებები არ არსებობს, ისე მოვიქცეთ, თითქოს ისინი არსებობენ.

სქიილუმენმა ანტონი ოპტინელმა ახალგაზრდობაში მოძღვრად თავისი უფროსი ძმა, არქიმანდრიტი მოსე, აირჩია და მთელი ცხოვრება მას დიდი კრძალვით ექცეოდა; და როცა თავადაც მსცოვანი ბერი გახდა, მამა მოსეს წინაშე თავის დამდაბლებას მაინც აგრძელებდა, ისე როგორც უკანასკნელი მორჩილი. მსახურებიდან უკვე გადამდგარი ღირსი მამა მინვევის გარეშე არასოდეს შედიოდა ილუმენის სენაკში, სადაც მისი უფროსი ძმა ცხოვრობდა. ჩვეულებრივ, იგი მისაღებში იდგა ხოლმე მანამ, სანამ მამა მოსე თვითონ არ შენიშნავდა მას და არ დაუძახებდა. ძმის სენაკში რომ შედიოდა, არც იქ ჯდებოდა, ავადმყოფ ფეხებზე მონაცვლეობით მდგარი, იცდიდა, სანამ დაჯდომას არ შესთავაზებდნენ. მომსვლელებთან, თუკი იქ მამა მოსეც იყო, ღრმა მღუმარებას იმარხავდა; მხოლოდ ზოგჯერ მიესალმებოდა ხოლმე ვინმეს დაბალი ხმით, ანდა მოკრძალებით პასუხობდა მისთვის დასმულ შეკითხვას. მოძღვრის თითოეულ სიტყვას, როგორც ღვთის ნებას, ყოველგვარი შეპასუხების გარეშე იღებდა. ოპტინის უდაბნოს ძმებს აკვირვებდა მამა ანტონის ქცევა, მაგრამ, ამავედროულად, ეს იყო მისაბაძი მაგალითი ახალგაზრდა მონაზვნებისთვის. მამა მოსე თავისი მხრიდან გულწრფელი პატივისცემით იყო განწყობილი ძმისადმი და ხშირად ეკითხებოდა მას სულიერ რჩევებს. "ისაა ნამდვილი მონაზონი, მე კი არა", – ამბობდა იგი თავის ძმაზე და თვითონაც ცდილობდა მის წინაშე თავი დაემდაბლებინა. მაგრამ რაკი კარგად უწყოდა ძმის გულითადი სურვილი, და არ სურდა მისი დაბრკოლება სრულყოფილი თავმდაბლობისკენ მიმავალ გზაზე, ხელს არ უშლიდა ხოლმე თავის დამდაბლებაში და ხშირად ისე ექცეოდა, როგორც მორჩილს.

დიდი ბერის, მამა მოსეს, გარდაცვალების შემდეგ წინამძღვარი გახდა მამა ისააკი, რომელიც იმხანად ოპტინის უდაბნოს ერთ-ერთი უმცროსი მღვდელ-მონაზონი იყო. მონასტრული ცხოვრების ამგვარმა ცვლილებამ მამა ანტონის თავის დამდაბლების ახალი საბაზი მისცა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა და სავანეში თავისი განსაკუთრებული მდგომარეობისა, მან წინამძღვრის წინაშე ისევ ისე დაიწყო თავის დამდაბლება, როგორც უბრალო მორჩილმა, და მასაც ისეთსავე პატივს მიაგებდა, როგორსაც მანამდე არქიმანდრიტ მოსეს. თავად მამა ისააკი ყოველთვის ისე ეპყრობოდა მამა ანტონის, როგორც სულიწმიდით შემოსილ მამას და არაერთხელ ცდილა დაერწმუნებინა ბერი, შეეცვალა თავისი ქცევა, მაგრამ – უშედეგოდ. ზოგჯერ მამა ისააკი, მონინების გრძნობით აღძრული, მუხლს მოიდრეკდა ხოლმე ღირსი მამის წინაშე და მინამ-

დე სცემდა მას თაყვანს, და მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ბერს ფეხებზე სისხლმდინარე წყლულები ჰქონდა, თავადაც დიდი მეტანიით პასუხობდა წინამძღვარს. იმისთვის, რომ მამა ანტონი მეტად აღარ გაენვალებინა, მამა ისააკი იძულებული გახდა, შეენყვიტა მის მიმართ ამგვარი სახით პატივისცემის გამოხატვა.

ერთხელ, სადღესასწაულო ტრაპეზის დაწყების წინ, მამა ისააკმა ბრძანა, თავისი საწინამძღვრო ადგილის გვერდით მამა ანტონისთვის სკამი დაედგათ. ეს რომ მამა ანტონიმ შენიშნა, თუმცა კი გადაღლილი იყო ხანგრძლივი მსახურების შემდეგ, სთხოვა ილუმენს, ნება დაერთო მისთვის, ტრაპეზზე კათედრიდან სწავლება წაეკითხა, როგორც ეს მონასტერში იყო მიღებული. ამ გზით მან თავი აარიდა წინამძღვრის გვერდზე ჯდომის პატივს, თუმცა მთელი ტრაპეზის განმავლობაში თავის ავადმყოფ ფეხებზე მოუწია დგომა.

"ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, – წერს წმინდა იოანე ოქროპირი, – თითქოს საკუთარ ღირსებას ვამცირებთ, როდესაც ჩვენ თვითონ ვიმდაბლებთ თავს. რამეთუ სწორედ მაშინ სამართლიანად ავმალდებით, და სწორედ მაშინ ვხდებით პატივის ღირსი". ამსოფლიური ვნებებით შეპყრობილ ხალხს უყვარს ერთმანეთის წინაშე თვითგანმტკიცება, ჩვენ კი, ქრისტიანებმა, მოყვასის წინაშე თავი უნდა დავიმდაბლოთ. სწორედ ესაა ჭეშმარიტი თვითგანმტკიცება ღვთის წინაშე. ნებისმიერ პაექრობას სხვა ადამიანებთან გარდაუვალად მივყავართ სულიერი სიმშვიდის დაკარგვასთან და, ამასთან ერთად, თუ გავიმარჯვებთ, გულში პატივმოყვარეობა აღმოგვიცენდება, ხოლო თუ დავმარცხდებით – მოწყინება. ყველაფერი ის, რაც ჩვენ სხვებზე მაღლა გვაყენებს, სრულებითაც არ ემსახურება ჩვენს სულიერ კეთილდღეობას. წმინდანები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად შეემცირებინათ ის უპირატესობანიც კი, რომლებიც მათ სამართლიანად ეკუთვნოდათ.

როცა წმინდა ნექტარიოს ეგინელს სხვა მღვდელმთავართან ერთად უხდებოდა მსახურება, ის არასოდეს იკავებდა ტრაპეზთან პირველ ადგილს – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ადგილი იერარქიულად მას ეკუთვნოდა. წმინდა მამა ასეთ დროს მხოლოდ მცირე ომოფორით იმოსებოდა, მიტრის ნაცვლად კი უბრალო მონაზვნურ ბარტყულს იხურავდა.

მოყვასისადმი სიყვარულის გამო ზოგჯერ წმინდანები სასწაულებს ახდენდნენ, თუმცა კი იცოდნენ, რომ ამისთვის მათ ხალხი განადიდებდა. მაგრამ გაჭირვებულთა დახმარების სურვილი მართალთა გულებში ყოველთვის სძლეოდა ხოლმე მათს სწრაფვას უცნობელობისაკენ! და თითქმის ყოველი სასწაულთქმედების შემდეგ მათ უხდებოდათ თავის დამდაბლება, რათა პატივმოყვარეობას გაქცეოდნენ.

ერთხელ, წირვის შემდეგ, ბერი იაკობ ევბეელი სატრაპეზოში ხალხს ესაუბრებოდა. ლაპარაკი რომ დაამთავრა და უკვე წასვლას აპირებდა, უეცრად მის წინაშე ეშმაკეული გოგონა დაეცა, რომელიც ყვირილით ეხეთქებოდა აქეთ-

იქით. ბერმა აკურთხა შეპყრობილი, ილოცა და ისიც დამშვიდდა. ყველა იქ მყოფი განაკვირვა მისი ლოცვის ძალამ. სალამოს, სერობის შემდეგ, მამა იაკობმა გადაწყვიტა, დილანდელი სასწაულის მხილველთათვის გაეფანტა აზრები საკუთარი სინმინდის შესახებ და შესჩივლა მათ, რომ მძიმე წუთებში არავინ დაეხმარა და ეშმაკეულთან მარტო დატოვეს. წმინდა მამა თავს იმდაბლებდა ხალხის წინაშე და უძლურ ადამიანად აჩვენებდა თავს!

წმინდანები ცდილობდნენ დაეფარათ საკუთარი ღვანლი. ხოლო როცა ამას ვერ ახერხებდნენ, ისე იქცეოდნენ, რომ ამ ქცევით, როგორც თვითონ მიაჩნდათ, ნაკლები პატივისცემით განაწყობდნენ თავიანთ თაყვანისმცემლებს.

ღირს სებასტიანე ყარაგანდელს შორსმჭვრეტელობისა და სასწაულთქმედების ნიჭისა და აგრეთვე მისი მოღვაწეობის გამო სულიერი შვილები უსაზღვრო პატივისცემით ეპყრობოდნენ. დიდმარხვის პირველ დღეს მის მრევლში, როგორც წესი, საჭმელს არავის აძლევდნენ. მხოლოდ სალამოს, დიდი კანონის შემდეგ იყო ნებადართული სეფისკვერის ნატეხის მიღება. ერთხელაც მამა სებასტიანემ ბრძანა, დღის 12 საათზე კარტოფილი მოეხარშათ. 3 საათზე კი, როცა კარტოფილი გაცივდა, ნახევარი შეჭამა. თავი ამგვარად რომ დაიმდაბლა, შემდეგ თქვა:

– აი, მამები, ჩემი თანამწირველები, მარხულობენ, მე კი – არა. მე ხომ ავადმყოფი ვარ, და აი, მარხვაც გავტეხე.

თავმდაბლობა განსწავლის ცოდვილებს

თავმდაბალი ისეთ საუნჯეს ფლობს, რომელიც არა მარტო მის მფლობელს ამდიდრებს სულიერად, არამედ გარშემო მყოფთაც. ეს იმიტომ ხდება, რომ სიმდაბლე ერთი ადამიანის სულიდან მეორეს გადაეცემა.

ერთ სალამოს გლინის უდაბნოში ორი მონაზონი შეხვდა ერთმანეთს. საუბარი გლინელ განდევგელს, სქიმღვედელმონაზონ მაკარისაც, შეეხო, და ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

– რას ჩაკეტილა? კარჩაკეტილში, სადაც საცდურებს ვერ ხედავ, ადვილია ცხონება. აი ჩვენსავით რომ ცხოვრობდეს, საცდურებს ხედავდეს და თითქოს ვერ ხედავსო, – ეს კი იქნებოდა დიდი ღვანლი!

საუბრის შემდეგ ეს ძმა თავისი სენაკისკენ გაემართა. გზად მამა მაკარის საცხოვრებელთან უნდა გაევილო. როცა მიუახლოვდა, უეცრად კარი გაიღო და მის წინაშე განდევგელი წარდგა. მან მდაბლად წარმოთქვა:

– შემინდე, ძმაო, შემინდე მე ცოდვილსა და უძლურს, რომელსაც არ ძალმიძს ისე ვიღვანო, როგორც თქვენ, და, სოფლის საცდურებს განრიდებული, სენაკში ვარ განმარტოებული. შემინდე ღვთის გულისათვის.

განდევილის წინასწარმხედველობით და სიმდაბლით გაოგნებული სხვისი საქმეების განმკითხველი ძმა ბერის ფერხთით დაეცა და გულშემუსვრილმა სთხოვა შენდობა.

თუკი ჩვენ გვსურს ვინმე მოვიზიდოთ ქრისტიანობისკენ, ანდა განვაშოროთ ცოდვილ ცხოვრებას, ამ საქმეში თავმდაბლობა უფრო დაგვეხმარება, ვიდრე ბრძნული საუბრები და მტკიცებულებები. რასაკვირველია, ესენიც აუცილებელია, მაგრამ უნდა დავინწყოთ სწორედ თავმდაბლობით. ნებისმიერი ცოდვის მიზეზი არის სიამაყე, ამიტომ ყოველი უნანელი ცოდვილი, მეტად თუ ნაკლებად, შეპყრობილია ამ ვნებით. სწორედ სიამაყე უშლის მას ხელს, რომ ღვთის წინაშე შეინანოს. ამაყ ადამიანზე ჩვენი ჭკუა-გონება და ცოდნა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს: ის თვლის, რომ ერთიცა და მეორეც მას უფრო მეტადა აქვს, ვიდრე სხვებს. მასზე მხოლოდ თავმდაბლობა იმოქმედებს – ის, რაც სრულებით არ გააჩნია.

ერთხელ საროვოში ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ერთი გენერალ-ლეიტენანტი ჩავიდა. იგი შესანიშნავ მუნდირში იყო გამოწყობილი და თავისი ორდენებით თავს ინონებდა. მონასტრის შენობები რომ დაათვალიერა, უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ გზად მემამულე ალექსი პროსკუდინს შეხვდა და საუბარი გაუბა. ალექსიმ შესთავაზა გენერალს, სანამ საროვოს დატოვებდა, დიდი მამა, სერაფიმე, მოენახულებინა. გენერალმა ჯერ უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ თანამოსაუბრის დაჟინებულ რჩევას დაჰყვა.

როგორც კი სტუმრები ბერის სენაკში შევიდნენ, მათ წმინდა სერაფიმე შეეგება და გენერალს მუხლი მოუდრიკა. სახელოვანი ბერის ასეთმა თავმდაბლობამ გენერალი გააოგნა. პროსკუდინი მიხვდა, რომ სენაკში აღარ უნდა გაჩერებულიყო და წინკარში გავიდა, გენერალი კი მარტო დარჩა ღირს მამასთან. რამდენიმე წუთის შემდეგ სენაკიდან ტირილის ხმა მოისმა: გენერალი პატარა ბავშვივით მოთქვამდა. ნახევარ საათში კარი გაიღო. წმინდა სერაფიმემ ხელკავით გამოიყვანა სტუმარი, რომელსაც ხელები სახეზე აეფარებინა და ისევ ტიროდა. ორდენები და ქუდი წმინდანის სენაკში დარჩენოდა. მონასტრის გადმოცემა გვამცნობს, რომ გენერალს ბერთან საუბრის დროს ორდენები თავისით ჩამოუცვივდა. წმინდა სერაფიმემ მისი ნივთები სენაკიდან გამოიტანა და ორდენები ქუდზე დაუმაგრა. შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი ამბობდა, რომ მთელი ევროპა შემოიარა, იცნობს სხვადასხვა გვარის უამრავ ადამიანს, მაგრამ პირველად ნახა ისეთი თავმდაბლობა, რომლითაც მას საროველი ბერი შეხვდა. გენერალი შეძრა აგრეთვე წმინდა მამის წინასწარმხედველობამაც, რადგან ბერმა მთელი მისი ცხოვრება თვალწინ გადაუშალა, თვით ყველაზე დაფარული საქმეებიც კი. სხვათა შორის, როცა მას მკერდიდან ორდენები დასცვივდა, ღირსმა მამამ უთხრა:

– ეს იმიტომ, რომ შენ ისინი დაუმსახურებლად გაქვს მიღებული.

ძვირფასო მკითხველო, ყურადღება მიაქციე: თვით დიდმა მამამაც კი, სერაფიმე საროველმა, ადამიანის დახმარება ცხონების საქმეში მის წინაშე მდებალი თაყვანისცემით დაიწყო. წმინდანმა იცოდა, რომ გენერალზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა ვერც სასწაულები, ვერც წინასწარმხედველობის ნიჭი – მანამ, სანამ მის სიამაყეს არ მოათვინიერებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ღირსმა მამამ თავმდაბლობით სძლია გენერლის ამპარტავნებას, მის სულზე უკვე თავისი მაღლმოსილი ძალით იმოქმედა. თუკი ასე იქცეოდა დიდი წმინდანი, რაოდენ უფრო მეტად გვმართებს ჩვენ მსგავსი ქმედება, – ჩვენ, რომელთაც ზებუნებრივი ნიჭები არ გაგვაჩნია. ვითარებები კი მრავლად შეგვექმნება იმისთვის, რომ თავი დავიმდაბლოთ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების ქრისტესკენ მოსაქცევად.

სქიმღვდელმონაზონ სერაფიმე ვირიცელს ორი მოხუცებული სულიერი შვილი ჰყავდა: პულქერია და ალექსანდრა. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან და ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ერთხელ ერთ-ერთი მათგანი სურსათის საყიდლად მაღაზიაში შევიდა და რიგში ჩადგა. ვირიცის მცხოვრებლებმა იცოდნენ მოხუცი ქალის სუსტი ჯანმრთელობის შესახებ და გამყიდველს სთხოვეს, ურიგოდ მომსახურებოდა. მოხუცმა 300 გრამი შაქრის ფული გადაიხადა. შაქარი მას მაშინვე აუწონეს და მიაწოდეს. ამ დროს რიგში მდგომი ერთი მთვრალი კაცი, როგორც ჩანს, გაბრაზდა, რომ ალოდინეს, მივიდა მოხუც ქალთან და სახეში შეაფურთხა. აღშფოთებულმა ხალხმა დამნაშავეს ლანძღვა დაუწყო, მოხუცმა კი ნერწყვი მოიწმინდა და მშვიდად წარმოთქვა:

– გმადლობ, ჩემო კეთილო. შენ, ერთადერთმა, სწორად იფიქრე ჩემზე. მე არა ვარ შენზე ნაწყენი, და თქვენც ნუ ეჩხუბებით მას.

ეს რომ მოისმინა, ლოთი სახტად დარჩა და დარცხვენილი გავიდა მაღაზიიდან. მოხუცმა ქალმა კი, სახლში რომ დაბრუნდა, ყველაფერი თავის მეგობარს უამბო და ბოლოს თქვა:

– კაცი იღუპება, უნდა დავეხმაროთ!

პულქერიამ და ალექსანდრამ ლოთისთვის მარხვა და ლოცვა დაიწყეს, თუმცა კი

ისე იყვნენ დაუძღვრებულები, რომ გაუგებარია, საერთოდ როგორ იდგნენ ფეხზე. რამდენიმე დღეში ლოთის ცოლმა შეიტყო თავისი ქმრის უღირსი საქციელის შესახებ და დაემუქრა:

– სანამ მოხუც ქალს შენდობას არ სთხოვ, არ დამენახო, შეგიძლია სახლში საერთოდ არ მოხვიდე!

ქმარი თავიდან აყვირდა, მაგრამ ცოლის სიმტკიცე რომ დაინახა, მოხუცებთან წავიდა. ისინი მას ალერსიანად შეხვდნენ, გამოელაპარაკნენ და კიდევ დაპატიჟეს თავისთან. ამის შემდეგ მათ უფრო გულმოდგინედ გააგრძელეს მისთვის ლოცვა. მოხუცები განსვენებულ სერაფიმე ვირიცელსაც ევედრებ-

ოდნენ, რათა მას ეხსნა ლოთი კაცის სული. ზეგარდამო სასწაულებრივი შეწევ-
ნა ძალზე სწრაფად მოვიდა. კაცმა ლოთობას თავი მიანება, ტაძარში სიარული
დაიწყო და მოხუცებს საყოფაცხოვრებო საქმეებშიც კი ეხმარებოდა.

ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ სანამ აშკ-
არა ცოდვილის გამოსწორებას დავიწყებდეთ, თავდაპირველად მის წინაშე აუ-
ცილებლად უნდა გამოვავლინოთ თავმდაბლობა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეი-
ძლება ვიმოქმედოთ მასზე სიტყვით, სიყვარულითა და ლოცვით, რაც დაეხმა-
რება მას, შეუდგეს ცხოვრების გზას. ეს სულიერი კანონზომიერება ყოველთვის
უნდა ვიქონიოთ მხედველობაში მაშინ, როცა ურთიერთობა ნაკლებად-
მორწმუნე ქრისტიანებთან გვინევს, ან კიდევ მათთან, ვინც ქრისტეს ეკლესიის
გარეთაა.

სანამ შემდეგ ნაწილზე გადავიდოდეთ, გავაკეთოთ დასკვნები ზემ-
ოთქმულიდან:

– როცა შეურაცხვეყოფენ და გვაავინროვებენ, ამ დროს ჩვენი სიმდაბლე
საქმით გამოიხატება.

– ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვისწავლოთ გარეგნული დამცირების
მოთმენა. სწორედ ეს დამცირებები განამტკიცებენ ჩვენში თავმდაბლობას.

– სრულყოფილი სიმდაბლისთვის რომ მიეღწიათ, წმინდანები ცდილობდნენ,
გვერდზე ისეთი ადამიანი ჰყოლოდათ, რომელიც მათ მუდამ მიაყენებდა შეუ-
რაცხყოფას. ამაში წმინდანების მიზანმიმართული ყველას არ ხელგვეწიფებდა, მაგრამ ის
მაინც მოვახერხოთ, რომ ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ ჩვენზე მოწვევულ დამ-
ცირებებს არ გავექცეთ.

– ჩვენ უნდა გვიყვარდეს ყველა, ვინც გვჩაგრავს და გვაავინროვებს. ისინი
ჩვენი სულიერი ექიმები არიან, იმდენად რამდენადაც ჩვენს სულს ძალზე
საშიში დაავადებისაგან – ამპარტავნებისგან – კურნავენ.

– განსაკუთრებულად მაცხოვრებელია ყვედრების დათმენა მათგან, ვინც
ჩვენზე უმცროსია, ან ჩვენი ხელქვეითია, ან საზოგადოებაში ჩვენზე დაბლა
დგას. ასეთი შეურაცხყოფები ძლიერ ამდაბლებს ადამიანის სულს.

– როცა დიდი ხნის მანძილზე მოგვაკლდება დევნა-შეურაცხყოფა, ძალზე სა-
სარგებლო იქნება, თუკი ჩვენ თვითონ დავიმდაბლებთ თავს ხალხის წინაშე.
ოღონდაც აქ ზომიერებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა
შევიძინოთ მხოლოდ თავმდაბლური იერი და ქცევები, სულის მდაბალი მდგომა-
რეობა კი დაგკარგოთ.

– ერთ-ერთი სულიერი სტიმული, რომელიც თავმდაბლობის მოსაპოვებლად
აღგვიძრავს, უნდა იყოს იმის შეგნება, რომ ეს სათნოება არა მარტო პირადად
ჩვენ გვაცხოვნებს, არამედ მოყვასზეც სასიკეთოდ იმოქმედებს.

ნაწილი 5

ყველაზე მოკლე გზა სიმდაბლისაკენ

მორჩილება, როგორც თავმდაბლობის სკოლა

სახელგანთქმული სულიერი მასწავლებლები თავმდაბლობის მოპოვების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მოძღვრის მორჩილებაში ყოფნას მიიჩნევენ.

ერთხელ ოპტინელი ბერის, ლეონიდეს (სქემაში ლეონის), ერთ-ერთმა მოწაფემ მოძღვრის განსაკუთრებული გულწრფელი განწყობა რომ დაინახა, ჰკითხა:

– მამაო, როგორ მოიპოვეთ ის სულიერი ნიჭები, რომლებსაც ჩვენ თქვენში ვხედავთ?

– უბრალოდ იცხოვრე, – მიუგო ბერმა, – და ღმერთი არც შენ მიგატოვებს. ლეონიდე ყოველთვის უკანასკნელი იყო სავანეში და წინამძღვრის არც ერთ დავალებაზე არასდროს უარი არ უთქვამს. დიდი დღესასწაულების წინადღეებში, როცა სხვები ეკლესიისკენ მიიჩქაროდნენ, ლეონიდეს ხუტორში გზავნიდნენ, რათა ჩამოსული სტუმრების ცხენებისათვის თივა მიეტანა, შემდეგ კი, დაღლილ-დაქანცულსა და მშვიერს, კლიროსზე უშვებდნენ, რომ ეგალობა, ის კი უდრტვინველად მორჩილებდა. ეცადე შენც ასევე იცხოვრო და ღმერთი შენც მოგხედავს წყალობით.

მორჩილებაში მყოფი ადამიანი უარს ამბობს საკუთარ ცოდვილ ნებაზე და თავის თავს გამოცდილ მოძღვარს მიანდობს, – მას, ვისაც შეუძლია იგი ცათა სასუფეველში შეიყვანოს. ჭეშმარიტი მორჩილი ყველაფერში უნდა დაემორჩილოს სულიერ მამას და უარყოს ყველა ის სურვილი, რომელიც ეწინააღმდეგება მოძღვრის ნებას. სულიერ ცხოვრებაში წვრილმანები არ არსებობს, ამიტომ მორჩილმა, გამონაკლისის გარეშე, უეჭველად ზუსტად უნდა შეასრულოს მოძღვრის ყოველი ბრძანება, რა უმნიშვნელოდაც არ უნდა ეჩვენებოდეს ისინი. მორჩილი არ უნდა მიენდოს საკუთარ გონებას, მოქცეულს ვნებათა ტყვეობაში, არამედ მოვალეა, ყველაფერში თავისი ღვთივგანათლებული სულიერი მამის რჩევებით იხელმძღვანელოს.

ოპტინის უდაბნოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი მოსე, ყოველთვის მოითხოვდა ძმებისგან, რომ მათ ნებისმიერ საქმეზე უფროსისაგან აეღოთ კურთხევა და არაფერი მოემოქმედებინათ საკუთარი ნებით. რაც არ უნდა წარმატებული და სასარგებლო ყოფილიყო მონასტრისთვის საქმე, გაკეთებული კურთხევის გარეშე, მამა მოსე მას არასდროს მოიწონებდა. იგი ამბობდა, რომ თვითნებობას პატივმოყვარეობამდე მივყავართ და სულისთვის მხოლოდ და მხოლოდ ზიანი მოაქვს. თუკი საქმე კურთხევით სრულდება, მაშინ ღმერთი მორჩილებისთვის იფარავს ადამიანს ყოველგვარი ზიანისაგან და ის სულიერ სარგებელს იღებს.

ერთხელ, მონასტრის შემოვლისას, მამა მოსემ იკონომოსს უხმო და ჰკითხა:

– აი იქ ნაგვის გროვა იყო და ახლა ველარ ვხედავ. სად გაქრა?

– ეს მე გადავაცრევი, – უპასუხა იკონომოსმა.

– კი მაგრამ, რატომ არ მკითხე? მე სულ სხვა რამეს ვაპირებდი. შენ მუდმივად თვითნებობაში ხარ და კურთხევის გარეშე მოქმედებ. ყველაფერი უნდა იკითხო.

რალა თქმა უნდა, მამა მოსე ენდობოდა იკონომოსს და აფასებდა მის გამოცდილებას, მაგრამ თავის თანამოძმეში სიამაყის ყლორტებს რომ ხედავდა, მორჩილების გზით მას თავმდაბლობას აჩვენებდა. ღმერთმა ადამიანი თავისუფალი ნებით შექმნა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ თავის სურვილებში, გადანყვეტილებებსა თუ ქცევებში მას განუსაზღვრელი თავისუფლება ენიჭებოდა. კაცობრივი ნება ჯერ კიდევ პირველქმნულ ცოდვამდე იყო მოქცეული საღმრთო სჯულის საზღვრებში. ადამ და ევა ღვთის მცნებებს ასრულებდნენ და ნეტარების სისავსეს იხმევდნენ, იმიტომ რომ მათი ცხოვრება და თავისუფლება ამ მცნებების ჩარჩოებში იყო მოთავსებული. ღვთაებრივი წესების საზღვრებს მიღმა ადამიანისთვის ნეტარება არ არსებობდა. ღვთის ნების დარღვევით ადამიანმა თავისი სულიერი თავისუფლება დაკარგა და ცოდვისა და ეშმაკის ხელმწიფების ქვეშ მოექცა.

მორჩილებაში ქრისტიანის სული დაცემული კაცობრივი ბუნების ძალაუფლებისაგან თავისუფლდება. მორჩილი უარს ამბობს თავის მოჩვენებით მინიერ თავისუფლებაზე, მოძღვარი კი მის ცხოვრებას სახარებისეული მცნებების მკაცრი და ზუსტი შესრულებით ზღუდავს, რაც საშუალებას აძლევს მორჩილს, რამდენადაც ეს მინიერ სამყაროშია შესაძლებელი, აღადგინოს საკუთარ თავში ადამიანის პირველქმნილი თავისუფლება. რაკი ეს იცოდნენ, დიდი წმინდანებიც კი ცდილობდნენ ერთმანეთს დამორჩილებოდნენ.

აბბა პაისი ჰყვებოდა, რომ აბბა ორემ და აბბა ათერმა მთელი ცხოვრება ურთიერთთანხმობაში გაატარეს. აბბა ათერს დიდი მორჩილება ჰქონდა, აბბა ორეს კი – დიდი სიმდაბლე. ერთხელ მათ თევზი მოუტანეს. აბბა ათერმა დანა აიღო და თევზს ჩაასო, რომ გაეჭრა. უცბად მას აბბა ორემ დაუძახა. ათერი მაშინვე მასთან გაიქცა, დანა კი თევზში ჩატოვა, ისე, რომ ბოლომდე არც ჩაუჭრია. აბბა პაისიმ ეს რომ დაინახა, განკვირდა მისი მორჩილებით და განსაკუთრებით იმით, რომ აბბა ათერს არც კი უთხოვია აბბა ორესთვის, ცოტა ხანს მოეცადა.

– აბბა ათერ! როგორ მოიპოვე ასეთი მორჩილება? – ჰკითხა აბბა პაისიმ.

– ეს ჩემი არაა, ბერისაა, – მიუგო ათერმა, რომელმაც საკუთარ სათნოებაზე უარი თქვა და იგი აბბა ორეს მიაწერა. შემდეგ მან აბბა პაისის შესთავაზა ბერის სიმდაბლე ეხილა, რისთვისაც თევზი მოხარშა, წვნიანის ერთი ნაწილი განზრახ გააფუჭა და აბბა ორეს მიაერთვა. ბერმა გაფუჭებული კერძი ისე შეჭამა, რომ არაფერი უთქვამს. აბბა ათერმა მას ჰკითხა:

– კარგადაა მომზადებული?

– ძალზე კარგად! – მიუგო ბერმა.

მაშინ აბბა ათერმა მას თევზის ის ნაწილი მიუტანა, რომელიც ძალიან კარგად ჰქონდა გაკეთებული და ჰკითხა:

– პირველი ნაწილი ცოტა ხომ არ გავაფუჭე?

– ჰო, – დაეთანხმა აბბა ორე, – ცოტა გაგიფუჭებია.

"ამის შემდეგ მე მათგან ნამოვედი და მუდამ ვცდილობდი შემესრულებინა ის, რაც ამ მამებთან ვნახე", – იგონებდა შემდგომში აბბა პაისი.

როდესაც ქრისტიანი უარყოფს თავისი ნების თავისუფლებას და შეწყვეტს საკუთარ გონებაზე მინდობას, ის ამით არსებითად უარს ამბობს ყოველგვარ ცოდვილზე, ვნებიანსა და ეგოისტურზე – იმაზე, რაც მასში დევს პირველ-მშობელთა დაცემისა და თვით მის მიერ ღვთის მცნებების გარდასვლის შედეგად. მაგრამ იმისთვის, რომ მოწაფე მოძღვრის სრულ მორჩილებაში იყოს, მას უნდა ჰქონდეს ურყევი ხასიათი, რომელიც, ამავედროულად, განუწყვეტლივ უნდა მტკიცდებოდეს ღვთაებრივი მადლით.

წმინდა იოანე მოკლე ეგვიპტის უდაბნოში რომ მივიდა, ერთ-ერთი ბერის მორჩილებაში ცხოვრობდა. ერთხელ მისმა აბბამ მინაში ხმელი ნაფოტი ჩაასო და იოანეს უთხრა:

– ეს ნაფოტი ყოველდღე მორწყე, სანამ ნაყოფს არ გამოიღებს.

წყალი მეტად შორს იყო მათი საცხოვრებელიდან, იმდენად, რომ საღამოს წასული იოანე უკან დილით ბრუნდებოდა. სამი წლის დაუღალავი შრომის შემდეგ ხმელმა ნაფოტმა ნაყოფი გამოიღო. აბბამ აიღო ეს ნაყოფი, ეკლესიაში მიიტანა და ძმებს უთხრა:

– იხმიეთ ნაყოფი მორჩილებისა!

დიახ, მორჩილებით ჩვენ შევძლებთ სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოვიპოვოთ სიმდაბლე. მაგრამ მხოლოდ ჩვენი სურვილი და ჩვენში საამისოდ თვით აუცილებელი თვისებების არსებობაც კი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ჭეშმარიტი მორჩილებისთვის. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოცდილი მოძღვარი, რომელსაც ღვთისგან მიმადლებული ექნება სულიერი ხელმძღვანელობის ნიჭი. ეს ნიჭი კი ყველა მოღვაწეს როდი ეძლევა. ამის თაობაზე წმინდა ეგნატე წერდა: "მორჩილების აუცილებელი პირობა – ესაა ღმერთშემოსილი მოძღვარი, რომელიც სულიწმიდის ნებით მოაკვდინებს მისდამი ღვთის გულისთვის დამორჩილებულის დაცემულ ნებას, ხოლო ამ დაცემულ ნებასთან ერთად კი – ყველა ვნებასაც. დაცემული და შერყვნილი კაცობრივი ნება საკუთარ თავში ამჟღავნებს ყველანაირი ვნებისკენ ლტოლვას. ცხადია, რომ დაცემული ნების მოკვდინება, რაც ასე დიდებულად და ძლივამოსილად აღესრულება ღვთაებრივი სულის ნებით, შეუძლებელია განახორციელოს მოძღვრის დაცემულმა ნებამ, მაშინ როცა თავად მოძღვარი ჯერ კიდევ ვნებებსაა დამონებული". ბევრს შეიძლება ვუნოდოთ კარგი მღვდელი, მაგრამ სულიერი მოძღვრები ყველა დროში ძალზე ცოტანი იყვნენ.

მორჩილთა განსწავლა თავმდაბლობაში

ასწლეულთა მანძილზე სიმდაბლის ნამდვილ სასწავლებლებად მონასტრები გვევლინება. ბერები ახალი მორჩილის მიღებისთანავე მიზნად ისახავდნენ, რომ მისი გულიდან პირველ რიგში სიამაყე აღმოეფხვრათ და სანაცვლოდ თავმდაბლობა ჩაენერგათ. კარგ მონასტრებში ამ მხრივ გამონაკლისები არავისთვის კეთდებოდა. როგორი მაღალი მდგომარეობაც არ უნდა ჰქონოდა საზოგადოებაში ადამიანს, იმის შემდეგ, რაც მორჩილების აღთქმას დადებდა, იწყებდნენ მის შინაგან და გარეგნულ დამდაბლებას ჩვეული მეთოდებით¹.

როდესაც სმოლენსკის წმინდა ზოსიმეს უდაბნოს ილუმენმა, გერმანემ, თავის სავანეში მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძრის პროტოპრესვიტერი, მამა თეოდორე, მიიღო, ძალზე შიშობდა, რომ მას საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ექნებოდა. ამიტომაც სავანეში მაშინვე დაიწყეს მამა თეოდორეს, მონაზვნობაში უკვე ალექსის, დამდაბლება. მისი პირველი მორჩილებები იყო გალობა და წირვა-ლოცვის ჩატარება. მას მკაცრად ექცეოდნენ, მსახურების დროს უკანასკნელ ადგილზე აყენებდნენ და ყველაზე ცუდ შესამოსელს აძლევდნენ. და თუმცა ცოტა ხანში მამა ალექსი მოძღვრადაც დანიშნეს, მას მაინც ბევრი რამის დათმენა მოუხდა კლიროსზე. გუნდს იმჟამად მღვდელმონაზონი ნათანაილი ხელმძღვანელობდა. ეს იყო ოპერის ყოფილი მომღერალი, კარგი მუსიკოსი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა კონსერვატორია და სინოდალური სასწავლებელი, მაგრამ ნერვიული და მოუსვენარი კაცი. ერთხელ მან მამა ალექსი უხეშად შეაჩერა და უსაყვედურა:

– ნუ გავიწყდებათ, რომ ეს მიძინების ტაძარი არ არის, აქ ღრიალი არ შეიძლება!

"მე კარგი ხმა მქონდა, – ჰყვებოდა მამა ალექსი ამ შემთხვევის შესახებ, – და მინდოდა ეს გამომეჩინა, მაგრამ უნდა დავმორჩილებოდი ჩემს სულიერ შვილს, რომელიც ამ საქმეში ჩემი მასწავლებელი იყო". მამა ალექსიმ მთელი გულით მდაბლად სთხოვა შენდობა მამა ნათანაილს და ისიც შემდეგ მრავალი წლის მანძილზე გულაჩუყებული იხსენებდა ამ შემთხვევას. შემდგომში სქიმღვდელმონაზონი ალექსი მთელს რუსეთში გახდა ცნობილი, როგორც ღვთაებრივი მაღლით აღსავსე მოძღვარი.

ყველა დიდმა რუსმა მოძღვარმა თავმდაბლობა მორჩილების გზით მოიპოვა. ისინი მთელი სიზუსტით იმარხავდნენ ძველი წმინდა მამის ანდერძს: "ვისაც თავიდანვე მორჩილებაში არ უცხოვრია, ის სიმდაბლეს ვერასგზით ვერ მოიპოვებს, რამეთუ ყველა, ვინც თავით თვისით განისწავლა ხელოვნებაში, ზვაობს და ამაყოფს".

¹ ბევრ მონასტერში მონაზვნობის მსურველებს მისვლისთანავე ამაბლებენ და გამოცდიან (მთარგმნელის შენიშვნა).

1873 წელს ოპტინის უდაბნოს სკიტში ნიკოლოზ ტიხონოვი მივიდა. ეს იყო მონასტრის მომავალი სულიერი მოძღვარი – მღვდელმონაზონი ნექტარიოსი. დიდმა ოპტინელმა მამებმა, ამბროსიმ და ანატოლიმ, ჭაბუკში თავიანთი მემკვიდრე შეიცნეს და სულიერი მოწიფულობისკენ ჭეშმარიტი მონაზვნური გზით წაიყვანეს. ნიკოლოზს სიმდაბლეში რომ განსწავლიდნენ, ისინი ხშირად მისდამი თავიანთ სიყვარულს ნახევრად სალოსობით ან ხუმრობებით ფარავდნენ.

ზოგჯერ ახალგაზრდა ნიკოლოზი წმინდა ამბროსისთან მივიდოდა, ის კი ეტყოდა:

– რას დადიხარ უსაქმოდ? ჯობია სენაკში იჯდე და ილოცო!

დამწუხრდება ჭაბუკი, მივა თავის სულიერ მოძღვართან – მამა ანატოლისთან, ის კი ეუბნება:

– რას დაიარები უსაქმურად? უქმისმეტყველებისთვის მოხვედი?

წავა ნიკოლოზი თავის სენაკში, დაემხოზა მაცხოვრის ხატის წინ და მთელი ღამე ტირის:

– უფალო, რაოდენ დიდი ცოდვილი ვარ, რომ მამები არც კი მღებულობენ!

მრავალი წლის შემდეგ ნიკოლოზი ცნობილი ბერი ნექტარიოსი გახდა, ოპტინის უდაბნოს დიდი მამების სულიერი მემკვიდრე, და მთელი ცხოვრება იმ გამოცდილებით ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდ ბერთა მორჩილებაში ყოფნისას მიეღო.

სულიერი ხელმძღვანელობისას მამები ზოგჯერ მორჩილებს გარეგნულად მკაცრად და რამდენადმე უხეშადაც კი ექცეოდნენ. მაგრამ ამგვარი მოპყრობის მიღმა ყოველთვის იმალებოდა სურვილი, გამოეწოთოთ ჯერ კიდევ განუმტკიცებელი სულები. ამქვეყნად ადამიანი იმდენად დაცემულ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მისი სულიერი აღზრდისთვის არა მარტო კეთილად მოპყრობაა საჭირო, არამედ – სიმკაცრეც. თუმცა მოძღვრისა და მორჩილის დამოკიდებულება ეკლესიაში მუდამ ურთიერთსიყვარულის, თანხმობისა და ურთიერთგაგების საფუძველს ემყარებოდა.

როცა ბერ იაკობ ევბეელს რომელიმე თავისი მოწაფის დასჯა უნდოდა, ეპიტემიას კანონების კითხვის, სკვნილზე ლოცვის ან მეტანიების სახით კი არ ადებდა, არამედ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ აუცილებელ დარიგებას აძლევდა ხოლმე. ერთხელ ერთ-ერთმა ძმამ მორჩილება არ შეასრულა და მამა იაკობმა მას თავმდაბლურად უთხრა:

– თუკი შენ არ ემორჩილები მოძღვარს, მაშინ მე დაგემორჩილები, როგორც მორჩილი.

ამის შემდეგ იგი მას ორი დღე ახლოს არ იკარებდა. შეხვედრისას ძმამ ჰკითხა:

– დამლოცეთ, მამაო, როგორ ბრძანდებით?

მან უპასუხა:

– კარგად, ჩემო მამაო, ვიღვნი, – და სიტყვა აღარ დაუძრავს, სამი დღის შემდეგ კი უთხრა:

– შემინდე, ჩემო მამაო, ეს სამი დღე რომ არ გაგიკარე. მაგრამ მე იღუმენი ვარ, პასუხისმგებლობა მაკისრია და მევალება, რომ განგსწავლოთ. შენდობას ვითხოვ.

* * *

ყველა ჩვენგანს როდი შეუძლია წავიდეს მონასტერში და გახდეს მორჩილი, იმისთვის რომ მოძღვრის სრულ მორჩილებაში ყოფნით სიმდაბლე მოიპოვოს. რა უნდა ქნან ერში მცხოვრებმა ქრისტიანებმა? ნუთუ მათთვის გადალობილია სიმდაბლისკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზა?

რასაკვირველია, ერის ხალხი არ უნდა შეცდეს: ერში შეუძლებელია მოძღვარსა და მონაფეს შორის სრულყოფილი ურთიერთდამოკიდებულების შექმნა. მაგრამ მათ, ვისაც თავმდაბლობის მოხვეჭა სურს, არაფერი უშლის ხელს, იცხოვროს იმ წესებით, რომლებიც ძალზე ახლოსაა ჭეშმარიტ მორჩილებასთან. ამისთვის აუცილებელია, ზუსტად აღვასრულოთ სახარების მცნებები, ყოველგვარ ცხოვრებისეულ გარემოებაში მოვიქცეთ ღვთის ნების თანახმად, შევასრულოთ ჩვენი სულიერი მოძღვრის რჩევები, და ჩვენს ოჯახურ, სამსახურებრივ თუ საზოგადო მოვალეობებს ისე მივუდგეთ, როგორც ზეგარდამო მოცემულ მორჩილებებს.

თაზგენა ნინო აბაშიძე